# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 19 მაისი 2006 №112 (2734) ფასი 50 თეთრი



## პირდაპირ, ქვემოქართლურად: სადაც ფეხბურთი, იქაც კალათბურთი

ფინალურ სერიაში 2:0 დაწინაურებული „ავიამშენი" რუსთავში რომ მიდიოდა, კარგად იცოდა, როგორ წნეხში მოუწევდა თამაში, თუმც ამას, ალბათ, მაინც ვერ წარმოიდგენდა... გუშინ „აზოტმა" მეორე რუსთავულ მატჩშიც იოლად დაჯაბნა ლევან მოსეშვილის შეგირდები და თბილისური მატჩების შემდეგ ლამის უიმედო მდგომარეობაში ჩავარდნილმა ნანატრი საჩემპიონო თასი ერთი ხელის გაწვდენაზე დაიგულა. საერთო ანგარიში გათანაბრდა — 2:2 და ოქროს მფლობელს ერთადერთი მატჩი გაარკვევს, რომელსაც გულშემატკივრულად სუპერფინალს ეძახიან და რომელიც „ავიამშენს" შარშან უკვე წაუგია. მაშინ მოსეშვილის გუნდმა სტუ-სთან დათმო, ახლა კი მის წინ რუსთავული „აზოტია", რომელიც, თავის მხრივ, სამ ფინალშია ხელმოცარული.

## დავით მარგოშვილს წინასწარი ორთვიანი მიუსაჯეს

მკვლელობაში ეჭვმიტანილ ცნობილ ძიუდოისტ დავით მარგოშვილს ახმეტის რაიონულმა სასამართლომ ორთვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით.

სასამართლოს დადგენილებაში ჯერჯერობით არ ფიგურირებს მკვლელობის ბრალდება. მართლმსაჯულება ბალისტიკური ესპერტიზის დასკვნას ელის.



# ჩვენი დროის ძმები გრიმები

## ტოპმიოლერები ქართულ ზღაპარზე მუშაობენ



ოთხი გერმანელი: კლაუს ტოპმიოლერი, რალფ მინგე, ჰაინც ტოპმიოლერი და ჰერბერტ ცანკერი. საქართველოს ყველა ასაკის ნაკრებებს ისინი წვრთნიან, აქედან ჰერ კლაუსს და ჰერ რალფს უკვე ჰქონდათ დებიუტი, აი, დღეს კი ჰაინც ტოპმიოლერი იწყებს — სლოვაკეთში უფროსი ტოპმიოლერის 19-წლამდელთა ნაკრები თურქ თანატოლებს ეთამაშება ევროჩემპიონატის შესარჩევი ციკლის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე.

ჰაინც ტოპმიოლერისთვის დღევანდელი ჯახი ოფიციალურადაც და არაოფიციალურადაც პირველია: მის გაწვრთნილ ქართველთა ნაკრებს ჯერ სპარინგ-მატჩიც არ ჩაუტარებია, თუმცა ზოგადად ულონო გუნდი არ უნდა ჰყავდეს — 19-წლამდელებში ისეთი ფეხბურთელებიც არიან, ეროვნულ ნაკრებში რომ უთამაშიათ

# ტორპედო და პროკურატურა: სად ხართ, რაპა დაგვივიწყეთ...

## ხურციძე კი ქუთათურებს ქუთათელაძეს ჰპირდება



პირველად არ ხდება, ქუთაისის „ტორპედოს" გენერალური პროკურატურა რომ ამოწმებს. აი, ახლაც: პროკურატურა კლუბით მას შემდეგაც დაინტერესდა, რაც სტადიონი და ბაზა „ტორპედოს" ახალმა ხელმძღვანელობამ იჯარით შეისყიდა.

„ტორპედოს" პრეზიდენტი გრიგოლ ხურციძე მედიასთან საუბრისას პროკურატურის ვიზიტზე მშვიდად რეაგირებს: ჩვეულებრივი შემოწმებაა, მოვიდნენ და ბუღალტერიას დოკუმენტაცია მოსთხოვეს, ჩვენც საჭირო საბუთები და მოთამაშეთა კონტრაქტები გადავეცით.

— ამბობენ, შპს-მ „საფეხბურთო კლუბი ტორპედო", რომლის პრეზიდენტიც თქვენ ხართ, კლუბის შესყიდვის ტენდერში არაკანონიერად გაიმარჯვაო...

— ;ს არის ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის განცხადება, რომელიც საფუძველს მოკლებულია. საქმე ისაა, რომ ტენდერში ჩემი კონკურენტი იყო კაცი, რომელსაც შიშველი ხელებით სურდა კლუბის სათავეში მოსვლა, შორს იყო ფეხბურთის დღევანდელ მოთხოვნებთან და ასეთი კაცი რომ გუნდის სათავეში მივა, ის ქართულ ფეხბურთს ვერაფერში წაადგება.

— რეალურად „ტორპედოში" თუ კეთდება რაიმე საიმისოდ, რათა გაისად გუნდს ისევ გასავარდნად არ ჰქონდეს საქმე?

— ჩვენ ოთხ-ხუთ კარგ ფეხბურთელს აუცილებლად დავიმატებთ. გუნდიდან ჯერ ოფიციალურად არავინ წასულა, თუმც გეტყვით, რომ დავით ჯანაშიას გავუშვებთ, შესაძლოა, ერთი-ორ სხვა მოთამაშესაც შეველიოთ. მაგრამ გარწმუნებთ, არ დავსუსტდებით. მაგალითად, ფოთის „კოლხეთიდან" ზვიად ქუთათელაძის დამატებას ვაპირებთ.

ილია ნანობაშვილი

# დინამომ იაშვილი გაიხანგრძლივა



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

მიუხედავად წარმატებული თუ წარუმატებელი სეზონისა, თბილისის „დინამოში“ ყოველთვის იყვნენ სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელები. დინამოელთა 21 წლის ფორვარდ სანდრო იაშვილს აწ დასრულებული სეზონის მეორე წრეში საქმე კარგად არ წაუვიდა — ბოლო მატჩებში „დინამოს“ სამატჩო განაცხადშიც არ იყო, დინამოელთა რუსმა დამრიგებელმა ანდრეი ჩერნიშოვმა „დინამო 2“-ში გადაიყვანა.

იაშვილს ივნისში უმთავრდებოდა კონტრაქტი „დინამოსთან“ და რამდენიმე ქართული თუ არაქართული გუნდი ფიქრობდა მის გადაბირებაზე, მაგრამ...

შევიტყვეთ, რომ იაშვილმა და „დინამომ“ ამ ცოტა ხნის წინ ახალი კონტრაქტი გააფორმეს, რომლის მიხედვით, სანდრო კიდევ ორი წლით იქნება „დინამოს“ ფეხბურთელი.

ერთი შეხედვით, უცნაურია, როცა კლუბი მეორე გუნდში გადაყვანილ ფეხბურთელს ახალ კონტრაქტს უფორმებს, მაგრამ იაშვილი ხომ სატრანსფეროდ საინტერესო ფეხბურთელია და ეს „დინამოშიც“ კარგად უწყიან — ახლა იაშვილს უფულოდ ვერავინ წაიყვანს.

**ნიკა ჯორჯაძე**

# ბათუმი მესამე წრეზე მიდის

## სეთურიძეს და ქებაძეს ვერავის დავუთმობთ

„ბათუმმა“ საქართველოს ჩემპიონატი მეექვსე ადგილზე დაასრულა, თუმცა გაორებული გრძნობა კი დარჩა: გუნდი კმაყოფილი უნდა იყოს იმით, რომ მეორე წრის შედეგებით მეორე ადგილზე გავიდა და 14 ტური წაუგებლად განვლო. მაგრამ „ბათუმს“ საპრიზო ადგილზე გასვლა და უეფას ან ინტერტოტოს თასზე თამაშიც შეეძლო.

„მეორე წრეში „ბათუმი“ მართლაც კარგ გუნდად ჩამოყალიბდა. ჩვენ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი გვყავდა, რომლებსაც სათითაოდ შეეძლოთ თამაშის საკუთარ თავზე აღება. საერთოდ, „ბათუმი“ გუნდურად თამაშობდა და ცალკეული ფეხბურთელების გამორჩევა არ შემიძლია. ორი-სამი ფეხბურთელიც რომ მოიკოჭლებდეს და თამაშს აგდებდეს, იქ უკვე ირევა მექანიზმი. მთავარი კი სათამაშო დისციპლინა იყო, რაც ჩვენთან მაღალ დონეზე იდგა“ — გვითხრა „ბათუმის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ.

და როგორი იქნება ზღვისპირული გუნდი მომავალ სეზონში? გუნდი ახლა შვებულებაშია, ჯერ არც ერთი ფეხბურთელი არ წასულა და არ მოსულა, თუმცა ამბობენ, „ბათუმი“ გაძლიერდებაო. ამასთან, გაბელიას გუნდში თამაშობენ ლაშა ქებაძე და გიორგი სეთურიძე, რომლებიც თბილისის „ლოკომოტივიდან“ განათხოვრებულები არიან და თუ რკინიგზელებს სურვილი ექნებათ და ფინანსებიც გასწვდებათ, ამ მოთამაშეების დაბრუნება შეუძლიათ — ამაზე „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა სოსო სირაძემაც გვითხრა ამას წინათ.



ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

გაბელიამ კი გვაცნობა, რომ ქებაძე და სეთურიძე დეკემბრის ბოლომდე არიან განათხოვრებულნი და იქამდე არსად გაუშვებენ, სანამ ნორმალური კლუბისგან არ მიიღებენ წინადადებას: „ოთხ-ხუთ ფეხბურთელს აუცილებლად ვიყიდით. ისეც არ გავაკეთებთ, რომ ვერც ერთი ფეხბურთელი ვერ გავუშვათ და 40 კაცი დაგვიგროვდეს. ჩვენ მხოლოდ ძლიერ მოთამაშეებს ავიყვანთ“.

...მაგრამ, „ბათუმი“ რომც გასულიყო ევროთასებზე, იქ ვერ ითამაშებდა, რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან ლიცენზია ვერ მიიღო. გაბელიას თქმით, ლიცენზიის აღება გაისად პრობლემა არ იქნება, მცირე საკითხებიღაა მოსაგვარებელიო.

„9-10 ივნისს დავიწყებთ მზადებას, მანამდე ჩვენი პრეზიდენტი ინვესტორს შეხვდება და კლუბის საამსეზონო გეგმას ზუსტად დასახავენ“ — გვითხრა გაბელიამ.

**ლუკა თალაკვაძე**

# ქინქლაძე მანჩესტერში ბრუნდება



ყაზანის „რუბინის“ გამთამაშებელმა გიორგი ქინქლაძემ ვერა და ვერ მოირჩინა საზარდული. ადრეც გაუწყეთ, რომ ქინქლაძე ყაზანში და მოსკოვში მკურნალობის შემდეგ ევროპაში აპირებდა წასვლას. ახლა მან ზუსტად იცის, სად გააგრძელებს მკურნალობას — ქინქლაძე ვიზას ელის და მალე ინგლისში წავა, მისთვის კარგად ნაცნობ მანჩესტერში და იქაურ ექიმებს გაესინჯება. შეგახსენებთ, რომ ქინქლაძე „მანჩესტერ სიტიში“ 1995-97 წლებში თამაშობდა.

რუსულ პრემიერლიგაში ახლა შესვენებაა და შვებულებაშია „რუბინიც“. სეზონი რუსეთში 10 ივლისს განახლდება და ქინქლაძესაც მანამდე სურს მანჩესტერიდან ყაზანში დაბრუნება.

**ნიკა ჯორჯაძე**

### შვედეთი

**თასი**

გეფლე 4:2 ატვიდაბერგი
ლანდსკრონა 3:0 იორგრიტე
კალმარი — აიკ გადაიდო

### ინგლისი

**მეორე ლიგა. პლეი ოფი**

ჩელტენემი 0:0 უიკომბი

### შვეიცარია

**პლეი ოფი**

სიონი 0:0 ძსამაძსი

### საერთაშორისო ტურნირი. 20-წლამდელები

კოლუმბია 1:1 მექსიკა
საფრანგეთი 1:1 ჰოლანდია

### ფინეთი

**ვეიკაუსლიგა. V ტური**

ჰაკა 2:0 ჰონკა
ინტერი 0:1 ჰიკ
კუოპიო 0:5 ტურკუ
მარიეჰამნი 1:1 ლაჰტი
ვპს ვაასა 1:0 ტამპერე
მიუპა 2:0 კტპ

### ამხანაგური მატჩი

მოლდოვა 0:0 აზერბაიჯანი

რეკლამა სარბიელ-ში
სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე



ევრო 2008-ის შესარჩევ ეტაპზე ჩვენი მეტოქე უკრაინის ნაკრები სამუნდიალოდ ემზადება. უკრაინელთა დამრიგებელმა ოლეგ ბლოხინმა კი ახლახან პრესკონფერენცია გამართა... ბლოხინმა ჯერ ტრავმებზე ისაუბრა. უკრაინელებს დაშავებული ჰყავთ მეკარე ალექსანდრ შოვკოვსკი, მცველი სერგეი ფიოდოროვი და გუნდის პრიმა ანდრეი შევჩენკო. მწვრთნელს შევჩენკოზე, ცხადია, ბლომად კითხვები დაუშინეს...

# ბლოხინმა ცოლები დაიჟინა

## თუ არ კანკალებ, იჯექი სახლში

„მან ორი კვირა უნდა დაისვენოს, მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ამხანაგურ მატჩებში შევჩენკო არ გვეყოლება. ამხანაგური შეხვედრებს ორი სტრატეგიული მნიშვნელობა ექნება — მუნდიალის პირველი მატჩი ესპანელებთან და ჯგუფის დანარჩენი ორი შეხვედრა. ამხანაგურ მატჩებში საამისო ვარიანტებს დავხვეწავთ — თქვა ბლოხინმა და შევჩენკოს „ჩელსიში“ შესაძლო ტრანსფერზეც გააკეთა კომენტარი — იმ აჟიოტაჟმა, რაც შევჩენკოს „ჩელსიში“ შესაძლო გადასვლას უკავშირდება, არა მგონია, უარყოფითად იმოქმედოს მასზე. შევჩენკოს ახლახან ვესაუბრე ტელეფონით, მაგრამ არა მის სატრანსფერო გეგმებზე. მას ესპანელებთან მომავალ შეხვედრაზე ველაპარაკე. „ბარსელონა“ — „მილანის“ მატჩში შევჩენკო კარლეს პუიოლს დაუსხლტა და სუფთა გოლი გაიტანა, რომელიც მსაჯმა არ ჩათვალა. ახლა შევჩენკოს კვლავ მოუწევს დუელი პუიოლთან, რომელმაც მაშინ შევჩენკო ვერ ამოკეტა. ესპანელებს შესანიშნავი შემსრულებლები ჰყავთ, თუმც მსოფლიო ჩემპიონატზე ისინი ვერ ბრწყინავენ. თუ მათი მწვრთნელი ლუის არაგონესი ამის მიზეზს მიაგნებს, ესპანელებთან ბრძოლა ძალიან ძნელი იქნება“.

ბლოხინმა ჟურნალისტებს ნაკრების სამუნდიალო მომზადებაზე და მიზანზეც ესაუბრა: „ჯერ თურქეთში წავალთ შეკრებაზე და ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, ფეხბურთელებს უფლება ექნებათ, ცოლებიც წამოიყვანონ. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თურქეთში დასასვენებლად მივდივართ. შემდეგ შვეიცარიაში წავალთ — შეთამაშება, შემადგენლობის ჩამოყალიბება, ტაქტიკა — იქ ამ მიმართულებებით ვიმუშავებთ. რაც შეეხება მიზანს, სირცხვილი იქნება, თუ მუნდიალზე ჯგუფიდან ვერ გავალთ. უკრაინის ფეხბურთის ფედერაციამ სწორედ ასეთი მიზანი დაგვისახა“.

და რა თანხას მიიღებს გუნდი თუ ამას მიაღწევს? ამ კითხვას ბლოხინმა ამომწურავი პასუხი არ გასცა: „ეს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი სურკისმა უნდა თქვას კოსტა-რიკასთან ამხანაგური მატჩის შემდეგ. მე კი უკვე ვიცი დაახლოებითი თანხა. ჩემი ფეხბურთელობისას ასეთი პრემიები რომ ყოფილიყო, ახლაც გავიდოდი მოედანზე. რაც შეეხება მწვრთნელების პრემიებს, ამაზე ლაპარაკი ჯერ არ ყოფილა“.

ამ ცოტა ხნის წინ რუსულ მედიაში ითქვა, ბლოხინს რამდენიმე რუსული კლუბი ეპატიჟებაო და პრესკონფერენციაზე ბლოხინს ამაზეც ჰკითხეს...

„სად აღარ „გადამიყვანეს“, ხან მოსკოვის „დინამოში“ და ხან მოსკოვის „სპარტაკში“. დასამალი რა მაქვს, შემოთავაზებები მართლაც იყო, მაგრამ ამის იქით საქმე ჯერ არ წასულა“ — უპასუხა ბლოხინმა.

როგორი იქნება მასმედიისა და ბლოხინის ურთიერთობა სამუნდიალო დღეებში, როგორ იმოქმედებს პრესა უკრაინის ნაკრების მწვრთნელ-ფეხბურთელებზე — პრესკონფერენციაზე ესეც აქტუალური საკითხი იყო...

„როგორც კი ნაკრების მწვრთნელად დავინიშნე, მას მერე პრესის ზეწოლას ვუძლებ. ვფიქრობ, ფეხბურთელებისთვის მასმედიის ფაქტორი სახიფათო არ უნდა იყოს. 21-ე საუკუნეში ფეხბურთელებს გაზეთის კითხვას და ინტერნეტით სარგებლობას ვერ ავუკრძალავთ. პირიქით, იმ სასტუმროში, რომელშიც ვიცხოვრებთ გერმანიაში, საგანგებოდ დავამონტაჟებთ ანტენებს, რომლებიც უკრაინულ და რუსულ ტელეარხებს დაიჭერენ. მიმაჩნია, რომ ფეხბურთელს გარკვეული წინასამატჩო მღელვარება აუცილებლად უნდა ჰქონდეს. თუ თამაშის წინ მუხლები არ გიკანკალებს, მაშინ სახლში უნდა იჯდე“ — განაცხადა ბლოხინმა.

# ძმა ძმისთვისაო გერმანულად

## ქართველები სლოვაკეთში ჩადიადორდნენ

**დღეს** საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ელიტ-რაუნდის პირველ შეხვედრას გამართავს — ჰაინც ტოპმიოლერის შეგირდები თურქ თანატოლებს გაეჯიბრებიან.

ჩვენი 19-წლამდელები უკვე ოთხი დღეა, სლოვაკეთში არიან და ემზადებიან. გუშინწინ საღამოს კი გუნდს საქართველოს ნაკრების თავკაცი კლაუს ტოპმიოლერიც შეუერთდა.

— კმაყოფილი ვარ. ბიჭები ზუსტად ასრულებენ ჩემს მითითებებს და სერიოზულად ემზადებიან. რაც შეეხება ძირითად შემადგენლობას, ამას თამაშის წინ გადავწყვეტ. თურქეთთან უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ და იმედი მაქვს, წარმატებას მივაღწევთ — განაცხადა უფროსმა ტოპმიოლერმა.

აქვე გეტყვით, რომ ტრავმებს არავინ უჩივის. ერთადერთი, ვინც თურქეთთან ვერ ითამაშებს, ამერელი დავით მჭედლიშვილია — იგი დისკვალიფიკაციის გამო ვერ დაეხმარება გუნდს.

გუშინდელი საღამოს ვარჯიშის შემდეგ მწვრთნელებმა ბიჭებს განტვირთვის საშუალება მისცეს და ბრატისლავა დაათვალიერებინეს.

და ერთიც: საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები სლოვაკეთში „დიადორას“ ფორმებით ვარჯიშობს და შესარჩევ მატჩებშიც ამ ფირმის მაისურებით ითამაშებს.

**ძახა შალამბერიძე**



სფფ-ის პრესსამსახური

მოსახდენი მოხდა და გასარკვევი გაირკვა: გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო-ტექნიკურმა კომიტეტმა „ცხინვალი“ — „გაგრას“ ჩაშლილი საპლეიოფო მატჩი განიხილა და ვერდიქტი გამოიტანა — ცხინვალელებს 3:0 მოგება ჩაეთვალათ



# 2:1 ანუ 3:0

## გაგრას ჩხუბი არ შეერგო

შეგახსენებთ: ამ თამაშის 110-ე წუთზე „ცხინვალი“ 2:1 იგებდა, როცა მეკარე გიზო შენგელიასა და გაგრელ ზურაბ ახობაძეს შორის შელაპარაკება მოხდა, რაც გუნდიგუნდზე ჩხუბში გადაიზარდა და მინდორზე გაგრელთა გულშემატკივრებიც გადაცვივდნენ. მსაჯმა ლაშა სილაგავამ მატჩი აღარ გააგრძელა, დასამთავრებელი კი გუშინ დამთავრდა...

სტკ-ს სხდომას ორივე გუნდის მესვეურები ესწრებოდნენ, თამაშის საეჭვო მომენტებისა და ჩხუბის ვიდეოფირიც ნახეს, მოისმინეს ორივე მხარის აზრი და გადაწყვეტილებაც მიიღეს: „ცხინვალი“ — „გაგრა“ 3:0, რაც იმას ნიშნავს, რომ სამაჩაბლოელები უმაღლეს ლიგაში დარჩნენ.

ახლა კი ფულად ჯარიმებზე: „ცხინვალის“ ფეხბურთელთაგან, ბექა ჩიტაია (2 თამაშით, 200 ლარი) და გიზო შენგელია (5 თამაში, 300 ლარი) დაისაჯნენ; გაგრელთაგან კი ესენი დაისაჯნენ: ლაშა მამუკაშვილი (3 თამაში, 200 ლარი), ზურაბ ახობაძე (10 თამაში, 500 ლარი), კონსტანტინე ავალიანი (2 თამაში, 200 ლარი).

10-10 მატჩიანი დისკვალიფიკაციით და 300-300 ლარით დაჯარიმდნენ „გაგრას“ მწვრთნელი თამაზ სამხარაძე, მასაჟისტი გოჩა ჩაკვეტაძე და ადმინისტრატორი ჯონი ჩაკვეტაძე. გარდა ამისა, „გაგრას“ გულშემატკივრების მინდორზე გადაჭრისთვის და ჩხუბისთვის კლუბი 1250 ლარს გადაიხდის.

აქვე ვთქვათ, რომ გაგრელთა ეს ფულადი სასჯელი განახევრებულია, რადგან გუნდი პირველლიგელია, თორემ უმაღლესში რომ იყოს, ორჯერ მეტად გალარიბდებოდა.

სხდომის დასრულების შემდეგ „ცხინვალის“ უფროსმა ზურაბ ნასუაშვილმა მოკლედ გვითხრა, საჭოჭმანო არაფერი ყოფილა, ყველამ ნახა ფირი და მიხარია, რომ სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს და უმაღლეს ლიგაში დავრჩითო.

„გაგრას“ მთავარმა მწვრთნელმა გოდერძი ჩიხრაძემ კი გვითხრა, ალბათ, ერთი კვირის ვადა გვაქვს, რათა აპელაცია შევიტანოთო...

„დაჩაგრულები ვართ, ვერდიქტი წინასწარ იყო გამოტანილი. ჩვენ ვითხოვდით, რომ ხელახლა გვეთამაშა, ობიექტური მსაჯობა ყოფილიყო და რომც წაგვეგო, სამდურავი არაფერი გვექნებოდა. „ცხინვალს“ ალალად მივულოცავდით. სამწუხაროდ, არ მოგვისმინეს. ოთხი წელია, ჩემს ფეხბურთელებთან ვმუშაობ და ეს პერიოდი ისე გავიდა, არცერთ მათგანს წითელი ბარათი არასოდეს მიუღია, მაგრამ ცუდმა მსაჯობამ და ბექა ჩიტაიას პროვოკაციულმა ჟესტმა ბიჭებს მოთმინება დაუკარგა.

...ვეცდებით, „გაგრამ“ არსებობა განაგრძოს. 17-20 წლის ბიჭები მყავს გუნდში და არ ვამბობ, რომ ისინი ვარსკვლავები არიან, მაგრამ პერსპექტივა ნამდვილად აქვთ. არ გვინდა მათი შუა გზაზე მიტოვება“ — გვითხრა ჩიხრაძემ.

**ილია ნანობაშვილი**



FINALE 2006 PARIS
50 YEARS OF CHAMPIONS

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბარსელონა (ესპანეთი) 2:1 არსენალი (ინგლისი)

პარიზი. „სტად დე ფრანსი". 80 000 მაყურებელი. მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

# სიხარული: ყველაზე დიდი დემოკრატია

## ვაა, მეფე, ჯიგარი ხარ!

0:1 კემპბელი (37), 1:1 ეტოო (76), 2:1 ბელეტი (81)

1. ვალდესი
4. მარკესი 5. პუიოლი
23. ოლეგერი 12 . ვან ბრონკჰორსტი
15. ედმილსონი
20. დეკუ 17. ვან ბომელი
8. ჟიული 15. რონალდინიო
9. ეტოო

1. ლემანი
27. ებუ 28. ტურე 23. კემპბელი 3 .კოული
19. ჟილბერტო სილვა 15. ფაბრეგასი
7. პირესი 13. გლები
8. ლიუნგბერგი
14. ანრი

შეცვლა: პირესი – 24. ალმუნია (18), ედმილსონი – 24. ინიესტა (46), ვან ბომელი – 7. ლარსონი (61), ოლეგერი – 2. ბელეტი (71), ფაბრეგასი – 16. ფლამინი (74), გლები – 9. რეიესი (85)

გაფრთხილება: ებუ (22), ანრი (51), ოლეგერი (69), ლარსონი (90)

გაძევება: ლემანი (18)



ესპანეთის მეფე, „ბარსელონას" პრეზიდენტი ლაპორტა და პუიოლი



**მადრიდის „რეალი"** თავის ყველაზე დიდ გამარჯვებებს ესპანეთის სატახტო ქალაქში, სიბელესის შადრევანთან ზეიმობს. როცა სამეფო გუნდი ქვეყნის ჩემპიონობას, კოპა დელ რეის ან დიდევროპულ ჯილდოებს იგებს, „ლას სიბელესთან" თეთრად გადაპენტილი დედაქალაქური ინჩადა იკრიბება და ფიესტას გუნდთან ერთად მართავს...

17 მაისის ღამესაც ზეიმი იყო სიბელესზე, ოღონდ ტრადიციული თეთრი ფერი არსად ჩანდა — შადრევანთან „რეალის" „საუკუნო მტრის", „ბარსელონას" ორასი ფანი შეიკრიბა და კატალონიური გრანდის მიერ ჩემპიონთა თასის მეორედ მონადირება აღნიშნა... ორასი ინჩასი გულშემატკივართა მრავალრიცხოვნებით განთქმული პირინეული გრანდებისთვის თითქოს არაფერია, მაგრამ შიგ მტრის „კაკალ გულში", „რეალის" ყველაზე სანუკვარ ადგილას ბარსელონელების ზეიმი თავისთავად უიშვიათესი მოვლენაა... ესპანური მედია წერს, სამეფო თეთრების ფანატიკოსებს ბარსელების ფიესტამ ნერვები აუშალა და ის-ის იყო, მეტოქე გუნდების გულშემატკივრები ერთმანეთს უნდა დასტაკებოდნენ, რომ პოლიცია გამოჩნდაო. ბარსელონური ღრიანცელი სიბელესის შადრევანთან მშვიდობიანად დასრულდა, „ბარსა" — „რეალის" ეპოპეაში კი კიდევ ერთი უცნაური და სახალისო გვერდი გაჩნდა — დანასისხლად გადაკიდებულ ფანებს ერთმანეთის ქალაქებში მეტოქის გულის გასახეთქად ფიესტა აქამდე არასდროს გაუმართავთ...

როცა ჟულიანო ბელეტიმ „არსენალის" კარში „ბარსასთვის" მეორე ჩემპიონთა თასის მომტანი გოლი შეაგდო, ბარსელონაში „ლა რამბლას" მოედანზე 500 ინჩასი იმყოფებოდა მხოლოდ. სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა მოედანზე 125 ათასი ალტაცებული ფანის გამოჩენას. და მთავარი შეძახილი? რა თქმა უნდა GOOOOOOOOOOL!

პარიზში, „სტად დე ფრანსის" არენაზე, ფინალის დამთავრების შემდეგ ყველა ტიროდა, დამარცხებულები სინანულით, გამარჯვებულები სიხარულით. „ბარსელონას" მეომრები უმალ პატარა ბავშვებად იქცნენ და მსაჯის საფინალო სასტვენისთანავე ხვევნა-კოცნით კიდევ ერთხელ ჩააგდეს დახრჩობის საფრთხეში ჟულიანო ბელეტი, იქამდე ბრაზილიელი თანაგუნდელთა გაშმაგებულ სიხარულს კინაღამ გოლის გატანისთანავე ემსხვერპლა... „თამაშამდე ამის წარმოდგენა ოცნებაშიც არ შემეძლო... ახლა ჩემი გოლი „ბარსას" ქომაგებს ძალიან დიდხანს ემახსოვრებათ... თუმც უფრო მთავარი გუნდის გამარჯვებაა. გოლის გატანისას ჩემს შვილზე ვფიქრობდი" — ნაწყვეტ-ნაწყვეტ განუცხადა ესპანეთის ტელევიზიის ჟურნალისტებს თანაგუნდელთაგან დატორვისა თუ დიდი ბედნიერების გამო გაოგნებულმა ბრაზილიელმა. რონალდინიო კი

CHAMPIONS LEAGUE

# FINALE 2006 PARIS

## 50 YEARS OF CHAMPIONS

უჩვეულოდ ნერვიული ჩანდა, ხეირიანად სიხარულის გამოხატვა ვერ შეძლო, კამერების წინ ცაზე თუ უთითებდა, ეს იყო და ეს. „თამაშის შემდეგ მთელმა საამსეზონო ბრძოლებმა თვალწინ გამირბინა. კარგიც იყო და ცუდიც, თუმცა „ბარსამ“ წლეულს ბრწყინვალედ იბურთავა და ჩემპიონთა თასიც ღირსეულად მოიგო“ — განაცხადა რონიმ.

ტიროდნენ „რკინის კაცებიც“, სამხრეთელებთან შედარებით „გრილი“ ჰოლანდიელები, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი და მარკ ვან ბომელი. ოლეგერი მინდორზე წაიქცა და კარგა ხანს ვერ მოახერხა გონს მოსვლა — კატალონიელმა მცველმა სოლ კემპბელი ვერ დაიჭირა საგოლე ეპიზოდში და ლონდონელებმაც ანგარიში მისი შეცდომის შემდეგ გახსნეს... ოლეგერს კატალონიის დროშა მოეხვია მხრებზე, მარკესს და ეტოოს კი, შესაბამისად, მექსიკისა და კამერუნისა... სამუელ ეტოო ფინალის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს, ორივე ბარსელონური გოლის სულისჩამდგმელ შვედ ჰენრიკ ლარსონს კი ბოლო კატალონიური აკორდი ბრწყინვალე გამოუვიდა — ლარსონი ხომ მომავალი სეზონიდან კარიერას შვედეთში გააგრძელებს — „საოცარი გუნდია „ბარსელონა“, ძირითადი შემადგენლობითაც ძლიერია და სათადარიგოთიც“ — უთხრა ლარსონმა მედიას.

ლუდოვიკ ჟიულიმ შვილთან, პატარა ბუთხუზა ბიჭუნასთან ერთად იზეიმა ჩემპიონთა თასის მონადირება. ფრანგს დიდევროპული ჯილდო შარშანწინ „მონაკოში“ უნდა მოეგო, თუმცა მაშინ გალები ფინალში დამარცხდნენ და ჟიულიმაც დიდი ხნის ნაგროვებ სიხარულს მისცა გასაქანი... „ღმერთს მადლობას ვწირავ ამ ბედნიერებისთვის. „ბარსას“ მოგება ესპანური და მსოფლიო ფეხბურთის დიდი გამარჯვებაა“ — ეუბნებოდა ფრანგი ჟურნალისტებს...

ბარსელონელთა სიამაყეს, ხავიერნანდესს მოედანზე მისალოცად შესული ესპანეთის მეფის დანახვაზე ეტიკეტი დაავიწყდა და დონ ხუან კარლოს პირველს ძმაკაცივით გადაეხვია. მერე გვერდით მდგომ დედოფალ სოფიას მოგდებაც უნდოდა მკლავებში, მაგრამ მისი უდიდებულესობის მცველებმა აღარ დაანებეს — დონია სოფიას და აღტკინებულ ბარსელონელს მოხერეხებულად ჩაუდგნენ შუაში...

„არსენალის“ ხალხმა კი მატჩის შემდეგ ნორვეგიელი ტერიე ჰაუგეს მსაჯობა გააქიაქა. „ძალიან ცუდია, როცა ჩემპიონთა ლიგის ფინალს თამაშგარედან გატანილი გოლის გამო წააგებ“ — აღნიშნა არსენ ვენგერმა პრესკონფერენციაზე. „მეთოფეთა“ მწვრთნელი სამუელ ეტოოს გოლს გულისხმობდა, კამერუნელმა წესების დარღვევით გაგვიტანა და მსაჯმა ეს ვერ შენიშნაო. „მსაჯმა ბარსელონელ მცველებს ბევრი რამ აპატია. პუიოლმა და მარკესმა კინაღამ ფეხები მომატვრიეს, ხოლო ტერიე ჰაუგემ ისინი არ დასაჯა“ — თქვა ტიერი ანრიმ. „არსენალის“ მთავარვარსკვლავმა, რომელსაც მომავალ სეზონში კარიერის გაგრძელებას სწორედ „ბარსაში“ უწინასწარმეტყველებენ, ისიც განაცხადა, მეტოქის ფეხბურთელებიდან ჰენრიკ ლარსონი ბრდღვინავდა მოედანზე, სხვები ნაკლებად ჩანდნენო. „ფინალამდე ყველა რონალდინიოს და ეტოოს საფრთხეზე საუბრობდა. „სტად დე ფრანსზე“ ისინი თითქმის არ შემინიშნავს — ჰენრიკ ლარსონი, აი, კაცი, რომელმაც თამაში მოგვიგო...“ — აღიარა ანრიმ.

პირინეულ პრესაში კატალონიელთა გამარჯვების გამო, ცხადია, დიდი მხიარულება სუფევს. „ევროპის ჩემპიონები“ — წერს კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივო“. „ესპანეთი 2 ევროპა 0“ — აცხადებს მადრიდული „ასი“. „მარკას“ თავფურცელზე კი ვკითხულობთ — „სიბელესზეც კი იზეიმეს...“

**ლადო ხომერიკი**











# თამადა მოჯი ლიპის არ აქალებდა



მარჩელო ლიპი

**იტალიის** ნაკრების მწვრთნელი მარჩელო ლიპი დღეს, პროკურატურაში მივა და იქაურთა შეკითხვებს გასცემს პასუხს. თემა: მსოფლიო ფეხბურთის სააგენტო **GEA**, რომელთანაც მის აგენტ ვაჟს აქვს საქმიანი კავშირები. შეგახსენებთ, რომ ამ ფირმას „იუვენტუსის" ყოფილი გენერალური დირექტორის, ლუჩანო მოჯის ვაჟი ალესანდრო ხელმძღვანელობს. სხვათა შორის, ლიპისთან შეკითხვები მისი და მოჯის ბოლოდროინდელი სატელეფონო საუბრის გამო გაჩნდა, თუმცა მკაფიოდ უნდა ითქვას, რომ ნაკრების მწვრთნელი ეჭვმიტანილი არ არის. პირიქით, აქ საქმე მოჯის დარღვევებს ეხება, კერძოდ კი საუბარია იმაზე, რომ გენერალური დირექტორი ცდილობდა მწვრთნელისთვის ამა თუ იმ ფეხბურთელის თამაში დაეძალებინა. თუმცა ლიპიმ ეს ჭორები ამთავითვე უარყო.

„რვა წელიწადი ერთად ვმუშაობდით და როგორ გგონიათ, ტელეფონით აღარ დამირეკავდა? თუ მათ ჩემი ყველა სატელეფონო საუბარი აქვთ ჩაწერილი, ნახავენ, რომ მე მხოლოდ „იუვეს" დირექტორმა კი არა, უამრავი სხვა კლუბის მწვრთნელმა და დირექტორმაც დამირეკა და თან იმაშიც დარწმუნდებიან, რომ არავის არაფერი დაუძალებია".

თუმცა იტალიური მედია საკითხს გაცილებით სერიოზულ სახეს აძლევს და იმასაც კი ამბობს, რომ ლიპის მსოფლიოს ჩემპიონატამდე თანამდებობიდან მოხსნიან. უკვე ლაპარაკობენ მის შემცვლელზეც და სამ კანდიდატს ასახელებენ. ესენია: 21-წლამდელთა ნაკრების შეფი კლაუდიო ჯენტილე, „მილანის" მწვრთნელი კარლო ანჩელოტი და „სკუადრა აძურას" წინა თავკაცი ჯოვანი ტრაპატონი.

თუმცა, სანამ ეს მოხდება დავუბრუნდეთ „იუვენტუსს", რომელსაც ოფისში პოლიცია შეუვარდა და ჩხრეკა მოუწყო. გაჩხრიკეს ყოფილი დირექტორების, ზემონახსენები მოჯისა და ანტონიო ჯირაუდოს სახლებიც და მეტიც, ზედ ორი ფეხბურთელი, ზლატან იბრაჰიმოვიჩი და ფაბიო კანავარო მიაყოლეს. სხვათა შორის, მარჩელო ლიპისა არ იყოს, ეჭვმიტანილები არც კანავარო და იბრაჰიმოვიჩი არიან, მაგრამ ჩხრეკას ვერ გადაურჩნენ. ნეაპოლში გადაქექეს მოჯის ვაჟის, ალესანდროს სახლიც.

**ბაჰუნა ძიდია**

# სკანერუნი და ოუენი ველოზე



მაიკლ ოუენი და თეო უოლკოტი

**ინგლისის** ნაკრების მწვრთნელ სვენ გორან ერიკსონს კალენდარში 25 მაისი წითლად აქვს შემოხაზული — ეს ის დღეა, როდესაც, ხუთთვიანი უქმობის შემდეგ მოედანს მაიკლ ოუენი დაუბრუნდება. და კიდევ, ერიკსონი ამბობს, რომ ამავე დღეს, როდესაც ინგლისის B ნაკრები ბელარუსს უნდა გაეჯიბროს, გაირკვევა, შეძლებს თუ არა უეინ რუნი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებას.

ასე და ამგვარად, ოუენი გამოჯანმრთელდა და ვარჯიშზე, უფრო სწორად კი ეგრეთწოდებული ორმხრივის დროს — როდესაც გუნდი ორად იყოფა და ფეხბურთს თამაშობს — მწვრთნელს ფრიად მოაწონა თავი. აი, რაც შეეხება რუნის, მისი ფეხი ჯერ კიდევ შესამოწმებელია და, როგორც მოგახსენეთ, ზუსტად ერთ კვირაში ანუ 25 მაისს ჩვენებურად რომ ვთქვათ რენტგენს გადაუღებენ, მათებურად კი სკანირებას ჩაუტარებენ.

„დღეს, როდესაც მაიკლ ოუენი საწვრთნელ მინდორს დაუბრუნდა და თავისი ვარჯიშით იმედს გვაძლევს, ერთადერთი ნამდვილი პრობლემა უეინ რუნის მდგომარეობაა — თქვა ერიკსონმა — ახლა ყველაფერი რუნის ფეხზეა დამოკიდებული. სკანერზე გამოჩნდება მოდის თუ არა ეს ბიჭი მსოფლიოს ჩემპიონატზე".

ამწუთას ინგლისელთა შვედ მწვრთნელს გულზე მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედის" ექიმების განცხადებები ედება მალამოდ. ისინი ამბობენ, რომ ახალგაზრდა თავდამსხმელს მოტეხილი ადგილი აუცილებლად დროულად შეუხორცდება და ის მუნდიალზე გამგზავრებას შეძლებს.

ერიკსონი: „ვცდილობ დადებითი განწყობა შევინარჩუნო და ოპტიმიზმი არ დავკარგო. საქმე ის არის, რომ საკუთრივ რუნის ვიცნობ კარგად და ვიცი, რომ ყველაფერს იზამს, რათა ფეხი მოირჩინოს. მას ერთი სული აქვს, როდის ითამაშებს. ის ექიმებისა და ჩვენს თითოეულ რჩევა-დარიგებას ზედმიწევნით ზუსტად ასრულებს და შესაძლოა მეტსაც კი აკეთებს. ის რეალურად მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია და სურს, იქ დაიმკვიდროს ადგილი, სადაც ეკუთვნის ანუ რონალდოს, რონალდინიოს და მათი დონის სხვა მოთამაშეთა გვერდით".

ბუნებრივია, სანამ რუნისა და ოუენის ამბავი ირკვევა, ერიკსონი დანარჩენ ფეხბურთელებზეც ფიქრობს და მათგან ოპტიმალურის გამოწურვას გეგმავს. კერძოდ, ინგლისელთა თავკაცი სტივენ ჯერარდს უფრო წინ უპირებს თამაშს და ამ იდეის სისწორეს მოახლოებულ ამხანაგურ შეხვედრებში შეამოწმებს. ეს შეხვედრები ინგლისელებს უნგრეთსა და იამაიკასთან აქვთ დაგეგმილი. ერიკსონი იმავე თამაშებში გამოცდის მეორე, გვარიანად საინტერესო და ავანტიურისტულ ვარიანტსაც: რუნის ადგილი ჯო კოულმა უნდა დაიკავოს, ხოლო სტიუარტ დაუნინგი მარცხნივ გადავა. და კიდევ არის ერთი მოსაზრება, რომლის თანახმადაც ოუენს პიტერ კროუჩი უნდა შეუწყვილდეს.

მაიკლ ოუენი: „პარაგვაის 9 ივნისს კი არა, ხვალ რომ ვეთამაშებოდეთ, თავად გამოვთქვამდი ეჭვს საკუთარ ფიზიკურ მომზადებაზე, მაგრამ დღეს, როდესაც თამაშამდე ამდენი დროა, ვერ გამიგია რატომ მკითხაობს ხალხი, შევძლებ მოედანზე სირბილს თუ ვერა. ბოლო ხუთი თვის განმავლობაში ფილტვები კი არ დამიკარგავს. წამით არ მოვდუნებულვარ, ხან ველოსიპედით ვვარჯიშობდი, ხანაც ათასი სხვა საშუალებით. ამ ხნის განმავლობაში, უბრალოდ, სცენაზე არ გამოვჩენილვარ, თორემ მის მიღმა საკუთარი თავისთვის მოდუნების საშუალება არ მიმიცია და ამიტომაც არა მგონია, რომ ეჭვის გამო ვინმემ მიკროსკოპით უნდა შემისწავლოს, რა შემიძლია და რა არა".

**ბაჰუნა ძიდია**



ჩეზარე პრანდელი

# კარლომ კაპელო დაიბარა

**რა ელის** ტურინის „იუვენტუსს", ჯერ უცნობია. თუ კლუბს მატჩების ჩაწყობა და სხვა ცოდვები დაუდასტურდა, შესაძლოა, სერია B-შიც უკრან თავი და ამ შემთხვევაში „ბებერი ქალბატონის" თავკაცი, ალბათ, ფაბიო კაპელო აღარ იქნება. მის სავარაუდო წასვლაზე დიდი ხანია, ლაპარაკობენ და მით უმეტეს, ახლა ეს საკმაოდ რეალურია.

იტალიური პრესის ცნობით, „იუვეს" დროებითი მმართველი კარლო სანტალბანო დონ ფაბიოსთან შეხვედრას დღეს აპირებს, სადაც, ცხადია, კაპელოსა და ტურინელების მომავალ თანამშრომლობაზე იქნება საუბარი. შეგახსენებთ, რომ მხარეებს შორის მოქმედ კონტრაქტს ვადა 2007 წლის ზაფხულში ეწურება.

აპენინური ჟურნალ-გაზეთები კი უკვე აქტიურად იხილავენ კაპელოს სავარაუდო შემცვლელებს. საუბარია ჩეზარე პრანდელიზე, ჯანლუკა ვიალიზე, რობერტო დონადონზე, დიდიე დეშანსა და ვალტერ ნოველინოზეც.

როგორც ამბობენ, „სამპდორიას" ამჟამინდელი თავკაცი ნოველინო მზად არის, „იუვე" იმ შემთხვევაშიც ჩაიბაროს, თუ ტურინელებს ქვედა ლიგაში მოისვრიან.

**კოკი კანდელაკი**

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანული** „კაიზერსლაუტერნის" ფორვარდი კარსტენ იანკერი ჩინურ „შანხაი შენხუაში" გადავიდა. ფეხბურთელი ახლა შანხაიშია და გუნდთან ერთად ვარჯიშობს. „რამდენიმე ევროპული კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ ჩინელთა წინადადებამ დამაინტერესა და ამ კლუბში თამაშს ვაპირებ" — განაცხადა გერმანიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა, რომელსაც ეროვნულ გუნდში 33 მატჩში ათი გოლი გაუტანია.

**ინგლისური** „არსენალის" ფრანგი ნახევარმცველი რობერ პირესი მომავალ კვირაში „ვილიარეალის" ფეხბურთელი გახდება და კლუბთან ორწლიან კონტრაქტს გააფორმებს. პირესს „არსენალთან" კონტრაქტი დაუსრულდა და ესპანურ გუნდს მის სანაცვლოდ ფულის გადახდა არ დასჭირდება. შეგახსენებთ, რომ „ვილიარეალმა" უკვე გადაიბირა „სოსიედადის" თურქი ნახევარმცველი ნიჰათი.

**იტალიურმა** „მილანმა" „ინტერიდან" მცველი ჯუზეპე ფავალი მუქთად გადაიყვანა. 34 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. პაოლო მალდინის ტრავმისა და იაპ სტამის წასვლის გამო ანჩელოტის მცველი სჭირდებოდა. ფავალიმდე „მილანმა" „ინტერს" სამი მოთამაშე წაჰგვარა: კლარენს ზეედორფი, ანდრეა პირლო და დარიო შიმიჩი.

**შოტლანდიური** „მოზერუელის" მწვრთნელი მორის მალპასი გახდა, რომელმაც ტერი ბატჩერი შეცვალა. ბატჩერი ავსტრალიურ „სიდნეიში" წავიდა, მალპასი კი მის თანაშემწედ მუშაობდა. „მოხარული ვარ, გუნდი რომ მანდეს" — თქვა ახალდანიშნულმა, რომელმაც კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

**ბოსნიელი** ფორვარდი სერგი ბარბარესი „ჰამბურგიდან" „ლევერკუზენში" გადავიდა. მან „ფარმაცევტებთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა და კლუბს ივნისის ბოლოს შეუერთდება. „სიმართლე გითხრათ, „ჰამბურგში" დარჩენის იმედი მქონდა, მაგრამ შეთანხმებას ვერ მივაღწიეთ" — თქვა 34 წლის ფეხბურთელმა.

**გერმანულმა** „ვერდერმა" კამერუნელი მცველი პიერ ვომე დაიმატა. მან „ინტერი" თავისუფალი აგენტის სტატუსით დატოვა და ბრემენელებთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ვომემ მილანელთა რიგებში მხოლოდ ნახევარი წელი გაატარა და 12 მატჩი ითამაშა.

**თურქული** „ანკარა" ახალ მწვრთნელს ეძებს. გუნდს გასულ სეზონში ძალიან უჭირდა და მართალია, 48 წლის გირაემ ბულაკომ დედაქალაქელთა ელიტაში დატოვება შეძლო, მაგრამ ხელმძღვანელობამ მისი გაშვება მაინც გადაწყვიტა.

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი – 9 ივლისი

## მონაწილეთა განაცხადები

## A ჯგუფი

### გერმანია — იურგენ კლინსმანი

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | იენს ლემანი | არსენალი, ინგლისი | 10.11.69 |
| 12 | ოლივერ კანი | ბაიერნი | 15.06.69 |
| 23 | ტიმო ჰილდებრანდი | შტუტგარტი | 05.04.79 |
| | **მცველები** | | |
| 2 | მარსელ იანსენი | მიონხენგლადბახი | 04.11.85 |
| 3 | არნე ფრიდრიხი | ჰერტა | 29.05.79 |
| 4 | რობერტ ჰუთი | ჩელსი, ინგლისი | 18.08.84 |
| 6 | იენს ნოვოტნი | ლევერკუზენი | 11.01.74 |
| 16 | ფილიპ ლამი | ბაიერნი | 11.11.83 |
| 17 | პერ მერტესაკერი | ჰანოვერი | 29.09.84 |
| 21 | კრისტოფ მეცელდერი | დორტმუნდი | 05.11.80 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 5 | სებასტიან კელი | დორტმუნდი | 13.02.80 |
| 7 | ბასტიან შვაინშტაიგერი | ბაიერნი | 01.08.84 |
| 8 | ტორსტენ ფრინგსი | ვერდერი | 22.11.76 |
| 13 | მიხაელ ბალაკი | ჩელსი, ინგლისი | 26.09.76 |
| 15 | თომას ჰიცლშპერგერი | შტუტგარტი | 05.04.82 |
| 18 | ტიმ ბოროვსკი | ვერდერი | 02.05.80 |
| 19 | ბერნდ შნაიდერი | ლევერკუზენი | 17.11.73 |
| 22 | დავიდ ოდონკორი | დორტმუნდი | 21.02.84 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | მაიკ ჰანკე | ვოლფსბურგი | 05.11.83 |
| 10 | ოლივერ ნოივილი | მიონხენგლადბახი | 01.05.73 |
| 11 | მიროსლავ კლოზე | ვერდერი | 09.06.78 |
| 14 | ჯერალდ ასამოა | შალკე | 03.10.78 |
| 20 | ლუკაშ პოდოლსკი | კიოლნი | 04.06.85 |

### კოსტა რიკა — ალექსანდრე გიმარაეში

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ალვარო მესენი | ჰერედიანო | 24.12.72 |
| 18 | ხოსე პორასი | საპრისა | 08.11.70 |
| 23 | ვარდი ალფარო | ალახუელენსე | 31.12.77 |
| | **მცველები** | | |
| 2 | ჟერვის დრუმონდი | საპრისა | 08.09.76 |
| 3 | ლუის მარინი | ალახუელენსე | 10.08.74 |
| 4 | მაიკლ უმანა | ბრუხასი | 16.07.82 |
| 5 | ჟილბერტო მარტინესი | ბრეშა, იტალია | 01.10.79 |
| 12 | ლეონარდო გონსალესი | ჰერედიანო | 21.11.80 |
| 15 | აროლდ უოლესი | ალახუელენსე | 07.09.75 |
| 17 | გაბრიელ ბადილა | საპრისა | 30.06.84 |
| 22 | მაიკლ როდრიგესი | ალახუელენსე | 30.12.81 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | დანი ფონსეკა | კარტახენა | 07.11.79 |
| 7 | კრისტიან ბოლანოსი | საპრისა | 17.15.84 |
| 8 | მაურისიო სოლისი | კომუნიკასიონსი | 13.12.72 |
| 10 | ვალტერ სენტენო | საპრისა | 06.10.74 |
| 14 | რანდალ აზოფეიფა | საპრისა | 30.12.84 |
| 16 | კარლოს ერნანდესი | ალახუელენსე | 09.04.82 |
| 20 | დუგლას სეკეირა | სოლტ ლეიკი, აშშ | 23.08.77 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | პაულო ვანჩოპე | ჰერედიანო | 31.07.76 |
| 11 | რონალდ გომესი | საპრისა | 24.01.75 |
| 13 | კურტ ბერნარდი | პუნტარენასი | 08.12.77 |
| 19 | ალვარო საბორიო | საპრისა | 25.03.82 |
| 21 | ვიქტორ ნუნიესი | კარტახენა | 15.04.82 |

### პოლონეთი — პაველ იანაში

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | არტურ ბორუცი | სელტიკი, შოტლანდია | 20.02.80 |
| 12 | ტომაშ კუშჩაკი | ვესტ ბრომვიჩი, ინგლისი | 20.03.82 |
| 22 | ლუკაშ ფაბიანსკი | ლეგია | 18.04.85 |
| | **მცველები** | | |
| 2 | მარიუშ იოპი | მოსკვა, რუსეთი | 03.08.78 |
| 3 | სევერინ განჩარჩიკი | მეტალისტი, უკრაინა | 22.11.81 |
| 4 | მარჩინ ბაშჩინსკი | ვისლა | 07.06.77 |
| 6 | იაცეკ ბაკი | ალ რაიანი, ყატარი | 24.03.73 |
| 14 | მიხალ ჟევლაკოვი | ანდერლეხტი, ბელგია | 22.04.76 |
| 17 | დარიუშ დუდკა | ვისლა | 09.12.83 |
| 18 | მარიუშ ლევანდოვსკი | შახტარი, უკრაინა | 18.05.79 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 5 | კამილ კოსოვსკი | საუთჰემპტონი, ინგლისი | 30.08.77 |
| 7 | რადოსლავ სობოლევსკი | ვისლა | 13.12.76 |
| 8 | იაცეკ კრჟინოვეკი | ლევერკუზენი, გერმანია | 15.05.76 |
| 10 | მიროსლავ შიმკოვიაკი | ტრაბზონსფორი, თურქეთი | 12.11.76 |
| 13 | სებასტიან მილა | აუსტრია, ავსტრია | 10.07.82 |
| 15 | ები შმოლარეკი | დორტმუნდი, გერმანია | 09.01.81 |
| 16 | არკადიუშ რადომსკი | აუსტრია, ავსტრია | 27.06.77 |
| 19 | დამიან გორავსკი | მოსკვა, რუსეთი | 04.01.79 |
| 20 | პიოტრ გიზა | კრაკოვია | 28.02.80 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | მაცეი ჟურავსკი | სელტიკი, შოტლანდია | 12.09.76 |
| 11 | გჟეგოჟ რასიაკი | საუთჰემპტონი, ინგლისი | 12.01.79 |
| 21 | ირენეუშ იელენი | პლოცკი | 09.04.81 |
| 23 | პაველ ბროზეკი | ვისლა | 21.04.83 |

### ეკვადორი — ლუის სუარესი

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ედვინ ვილაფუერტე | დეპორტივო კიტო | 12.03.79 |
| 12 | კრისტიან მორა | ლიგა დე კიტო | 26.08.79 |
| 22 | დამიან ლანსა | აუკასი | 10.04.82 |
| | **მცველები** | | |
| 2 | ხორხე გუაგუა | ელ ნასიონალი | 28.09.81 |
| 3 | ივან ურტადო | ალ არაბი, საუდეთი | 16.08.74 |
| 4 | ულისეს დე ლა კრუზი | ასტონ ვილა, ინგლისი | 08.02.74 |
| 5 | ხოსე პერლასა | ოლმედო | 06.10.81 |
| 13 | პოლ ამბროზი | ლიგა დე კიტო | 14.10.80 |
| 17 | ჯოვანი ესპინოზა | ლიგა დე კიტო | 12.04.77 |
| 18 | ნეისერ რეასკო | ლიგა დე კიტო | 23.07.77 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | პატრისიო ურუტია | ლიგა დე კიტო | 15.10.77 |
| 7 | კრისტიან ლარა | ელ ნასიონალი | 27.04.80 |
| 8 | ედისონ მენდესი | ლიგა დე კიტო | 16.03.79 |
| 14 | სეგუნდო კასტილიო | ელ ნასიონალი | 15.05.82 |
| 15 | მარლონ აიოვი | დეპორტივო კიტო | 27.08.71 |
| 16 | ლუის ვალენსია | უელვა, ესპანეთი | 04.08.85 |
| 19 | ლუის სარიტამა | დეპორტივო კიტო | 20.10.83 |
| 20 | ედვინ ტენორიო | ბარსელონა | 16.06.76 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | ფელიქს ბორხა | ელ ნასიონალი | 02.04.83 |
| 10 | ივან კავიედესი | არგ. ხუნიორსი, არგენტინა | 24.10.77 |
| 11 | აუგუსტინ დელგადო | ლიგა დე კიტო | 23.12.74 |
| 21 | კარლოს ტენორიო | ალ საადი, საუდეთი | 14.05.79 |
| 23 | კრისტიან ბენიტესი | ელ ნასიონალი | 01.05.86 |

## B ჯგუფი

### ინგლისი — სვენ გორან ერიქსონი

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | პოლ რობინსონი | ტოტენჰემი | 15.10.79 |
| 13 | დევიდ ჯეიმსი | მანჩესტერ სიტი | 01.08.70 |
| 22 | რობერტ გრინი | ნორვიჩი | 18.01.80 |
| | **მცველები** | | |
| 2 | გარი ნევილი | მანჩესტერ იუნაიტედი | 18.02.75 |
| 3 | ეშლი კოული | არსენალი | 20.12.80 |
| 5 | რიო ფერდინანდი | მანჩესტერ იუნაიტედი | 07.11.78 |
| 6 | ჯონ ტერი | ჩელსი | 07.12.80 |
| 12 | სოლ კემპბელი | არსენალი | 18.09.74 |
| 14 | უეინ ბრიჯი | ჩელსი | 05.08.80 |
| 15 | ჯეიმი კარაგერი | ლივერპული | 28.01.78 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 4 | სტივენ ჯერარდი | ლივერპული | 30.05.80 |
| 7 | დევიდ ბექემი | რეალი, ესპანეთი | 02.05.75 |
| 8 | ფრენკ ლამპარდი | ჩელსი | 20.06.78 |
| 11 | ჯო კოული | ჩელსი | 08.11.81 |
| 16 | ოუენ ჰარგრივსი | ბაიერნი, გერმანია | 20.01.81 |
| 17 | ჯერმენ ჯენასი | ტოტენჰემი | 18.02.83 |
| 18 | მაიკლ კარიკი | ტოტენჰემი | 28.07.81 |
| 19 | აარონ ლენონი | ტოტენჰემი | 16.04.87 |
| 20 | სტიუარტ დაუნინგი | მიდლსბრო | 22.07.84 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | უეინ რუნი | მანჩესტერ იუნაიტედი | 24.10.85 |
| 10 | მაიკლ ოუენი | ნიუკასლი | 14.12.79 |
| 21 | პიტერ კრაუჩი | ლივერპული | 30.01.81 |
| 23 | თეო უოლკოტი | არსენალი | 16.03.89 |

### პარაგვაი — ანიბალ რუისი

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ხუსტო ვილარი | ოლდ ბოისი, არგენტინა | 30.06.77 |
| 12 | დერლის გომესი | სპორტივო ლუკენო | 02.11.72 |
| 22 | ალდო ბობადილა | ლიბერტადი | 20.04.76 |
| | **მცველები** | | |
| 2 | ხორხე ნუნიესი | ესტუდიანტესი, არგენტინა | 22.01.78 |
| 3 | დელიო ტოლედო | სარაგოსა, ესპანეთი | 10.02.76 |
| 4 | კარლოს გამარა | პალმეირასი, ბრაზილია | 17.02.71 |
| 5 | ხულიო სესარ კასერესი | რივერ პლეიტი, არგენტინა | 05.10.79 |
| 14 | პაულუ და სილვა | ტოლუკა, მექსიკა | 01.02.80 |
| 15 | ხულიო მანსური | სანტოსი, ბრაზილია | 22.01.81 |
| 21 | დენის კანისა | კრუზ ასული, მექსიკა | 29.08.74 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | კარლოს ბონეტი | ლიბერტადი | 02.10.77 |
| 7 | სალვადორ კაბანასი | ხაგუარესი, მექსიკა | 05.08.80 |
| 8 | ედგარ ბარეტო | ნაიმეგენი, ჰოლანდია | 15.07.84 |
| 10 | რობერტო აკუნია | დეპორტივო, ესპანეთი | 25.03.72 |
| 11 | დიეგო გავილანი | ოლდ ბოისი, არგენტინა | 01.03.80 |
| 13 | კარლოს პარედესი | რეჯინა იტალია | 16.07.76 |
| 16 | კრისტიან რივეროსი | ლიბერტადი | 16.10.82 |
| 17 | ხოსე მონტიელი | ოლიმპია | 19.03.88 |
| 19 | ხულიო დოს სანტოსი | ბაიერნი, გერმანია | 07.05.83 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 9 | როკე სანტა კრუზი | ბაიერნი, გერმანია | 16.08.81 |
| 18 | ნელსონ ვალდესი | ვერდერი, გერმანია | 28.11.83 |
| 20 | ხოსე კარდოზო | უგუნდოდ | 19.03.71 |
| 23 | ნელსონ კუევასი | პაჩუკა, მექსიკა | 10.01.80 |

### ტრინიდადი — ლეო ბეენჰაკერი

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | შაკა ჰისლოპი | ვესტ ჰემი, ინგლისი | 22.02.69 |
| 21 | კელვინ ჯეკი | დანდი, შოტლანდია | 29.04.76 |
| 22 | კლეიტონ ინსი | ქოვენთრი, ინგლისი | 13.07.72 |
| | **მცველები** | | |
| 2 | იან კოქსი | ჯილინგემი, ინგლისი | 25.03.71 |
| 3 | ევერი ჯონი | ნიუ ინგლანდი, აშშ | 18.06.75 |
| 4 | მარვინ ენდრიუსი | რეინჯერსი, შოტლანდია | 22.12.75 |
| 5 | ბრენტ სანჩო | ჯილინგემი, ინგლისი | 13.03.77 |
| 6 | დენის ლოურენსი | რექსემი, ინგლისი | 01.08.74 |
| 8 | სიდ გრეი | სან ხუანი | 22.11.76 |
| 17 | ატიბა ჩარლსი | ქონექშენი | 29.09.77 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 7 | კრისტოფერ ბირჩალი | პორტ ვეილი, ინგლისი | 05.05.84 |
| 9 | ორტის უიტლი | სან ხუანი | 01.05.77 |
| 11 | კარლოს ედვარდსი | ლუთონი, ინგლისი | 24.10.78 |
| 16 | სილვიო სპანი | უგუნდოდ | 21.08.81 |
| 18 | დენზილ თეობალდი | ფოლკირკი, შოტლანდია | 27.06.82 |
| 23 | ენტონი ვოფლი | სან ხუანი | 23.12.83 |
| | **თავდამსხმელები** | | |
| 10 | რასელ ლატაპი | ფოლკირკი, შოტლანდია | 02.08.68 |
| 12 | კოლინ სამუელი | დანდი იუნ, შოტლანდია | 27.08.81 |
| 13 | კორნელ გლენი | ლოს ანჯელესი, აშშ | 21.10.80 |
| 14 | შტერნ ჯონი | ქოვენთრი, ინგლისი | 30.10.76 |
| 15 | კენვინ ჯონსი | საუთჰემპტონი, ინგლისი | 05.10.84 |
| 19 | დუაიტ იორკი | სიდნეი, ავსტრალია | 03.11.71 |
| 20 | ჯეისონ სკოტლანდი | სენტ ჯონსტონი, შოტლანდია | 18.02.79 |

### შვედეთი — ლარს ლაგერბეკი

| № | სახელი | კლუბი | დაბ. თარიღი |
|---|---|---|---|
| | **მეკარეები** | | |
| 1 | ანდრეას ისაკსონი | რენი, საფრანგეთი | 03.10.81 |
| 12 | ჯონ ოლბაჯი | ვიბორგი, დანია | 10.08.82 |
| 23 | რამი შააბანი | ფრედრიკსტადი | 30.06.75 |
| | **მცველები** | | |
| 2 | მიკაელ ნილსონი | პანათინაიკოსი, საბერძნეთი | 24.06.78 |
| 3 | ოლოფ მელბერგი | ასტონ ვილა, ინგლისი | 03.09.77 |
| 4 | ტედი ლუკიჩი | ჰეკენი | 15.04.73 |
| 5 | ერიკ ედმანი | რენი, საფრანგეთი | 11.11.78 |
| 13 | პეტერ ჰანსონი | ჰერენვენი, ჰოლანდია | 14.12.76 |
| 14 | ფრედრიკ შტენმანი | ლევერკუზენი, გერმანია | 02.06.83 |
| 15 | კარლ სვენსონი | გიოტებორგი | 21.03.84 |
| | **ნახევარმცველები** | | |
| 6 | ტობიას ლინდეროტი | კოპენჰაგენი, დანია | 21.04.79 |
| 7 | ნიკლას ალექსანდერსონი | გიოტებორგი | 29.12.71 |
| 8 | ანდერს სვენსონი | ელფსბურგი | 17.07.76 |
| 9 | ფრედერიკ ლიუნგბერგი | არსენალი, ინგლისი | 16.04.77 |
| 16 | კიმ კალსტრიომი | რენი, საფრანგეთი | 24.08.82 |
| 19 | დანიელ ანდერსონი | მალმიო | 28.08.77 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23:00 | 148 | კრუზეირო-ფლამენგო | 1.65 | 3.30 | 4.50 | 1.10 | 1.20 | 1.90 |
| 23:00 | 149 | პალმეირასი-სანტა კრუსი | 1.50 | 3.70 | 5.50 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 23:00 | 150 | ვასკუ და გამა-კორინთიანსი | 2.25 | 3.20 | 2.65 | 1.32 | 1.21 | 1.44 |
| 23:45 | 151 | ფლუმინენსე-სანტოსი | 2.00 | 3.20 | 3.20 | 1.23 | 1.23 | 1.60 |
| 23:45 | 152 | ჟუვენტუდი-ბოტაფოგო | 1.80 | 3.40 | 3.65 | 1.17 | 1.20 | 1.76 |
| 23:45 | 153 | პონტე პრეტა-გრემიო | 1.80 | 3.30 | 3.75 | 1.16 | 1.21 | 1.75 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 159 | პუერტო მონტი-კოლო კოლო | 4.40 | 3.20 | 1.70 | 1.85 | 1.22 | 1.11 |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 155 | კოკიმბო-ანტოფაგასტა | 1.80 | 3.20 | 3.80 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| 23:45 | 156 | ევერტონი-უონდერერსი | 1.80 | 3.30 | 3.80 | 1.16 | 1.22 | 1.76 |
| 23:30 | 158 | პალესტინო-რეინჯერსი | 1.65 | 3.30 | 4.70 | 1.10 | 1.22 | 1.93 |
| 23:45 | 160 | მორნინგი-უნ.ესპანიოლა | 4.70 | 3.30 | 1.65 | 1.93 | 1.22 | 1.10 |
| 23:30 | 161 | უ.კონსეპსიონი-უნ.კატოლიკა | 2.10 | 3.30 | 2.85 | 1.28 | 1.20 | 1.52 |
| | | **21 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 154 | კობრელოა-აუდაქსი | 1.85 | 3.30 | 3.60 | 1.18 | 1.22 | 1.72 |
| 23:30 | 157 | უაჩიპატო-ჰიგინსი | 1.30 | 4.30 | 7.50 | 1.00 | 1.10 | 2.73 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22:30 | 269 | შოტლანდია(21)-თურქეთი(21) | 3.00 | 3.10 | 2.20 | 1.52 | 1.26 | 1.28 |
| | | **ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი ტულონში(20)** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 20:30 | 293 | არგენტინა(20)—ჩეხეთი(20) | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 20:30 | 294 | პორტუგალია(20)-ჩინეთი(20) | 1.95 | 3.10 | 3.30 | 1.19 | 1.22 | 1.59 |
| | | **რუსეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 14:00 | 273 | ცსკა-სპარტაკი | 2.05 | 3.10 | 3.30 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| | | **ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი 2006 (ლატვია)** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 17:15 | 295 | კანადა-შვედეთი | 2.00 | 4.30 | 2.30 | 1.36 | 1.06 | 1.49 |
| | | **კალათბურთი. ესპანეთი** | | | | | | |
| | | **19 მაისი** | | | | | | |
| 22:15 | 292 | ბარსელონა-რეალი | 1.45 | 12.00 | 2.55 | 1.29 | 1.00 | 2.10 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **20 მაისი** | | | | | | |
| 23:45 | 348 | მ.ა.ბერერა-რ.ხუარესი | 1.15 | 20.00 | 4.00 | | | |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ




მურაზ ფოლადაშვილის ფოტო

# იმედი ბატუტზეც ხტუნავს

*ცოდვა გამხელილი სჯობს — მას შემდეგ, რაც მსოფლიოს და ევროპის სამ-სამგზის ჩემპიონმა რუსუდან ხოფერიამ სარბიელი მიატოვა, ვიფიქრეთ, პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ბატუტზე მხტომელი აღარ გვეყოლებაო, მაგრამ აი, გამოჩნდა პატარა თბილისელი გოგონა, ლიუბა გოლოვინა, რომელმაც იმედი ჩაგვისახა და ოპტიმიზმი უფრო განგვიმტკიცა, როცა შარშან თანატოლებში მსოფლიოს ჩემპიონობა მოიპოვა, მანამდე კი ევროპის პირველობაზეც ასევე გაგვახარა.*

**მართალია,** მისი ასაკის ბატუტზე მხტომელებს, რაც უნდა კარგად გამოვიდეს შეჯიბრებებზე, ოლიმპიურ ლიცენზიას არავინ აძლევს, მაგრამ მომავალი წლიდან გოლოვინას უფროსთა შორის ასპარეზობის უფლება ექნება, რაც ამ სახეობაში ჩვენს საპეკინო შანსებს საკმაოდ ზრდის.

ასე რომ, ლიუბა გოლოვინასთვის წლევანდელი სეზონი უმცროსთა შორის ბოლოა და, იმედია, ამ ასაკში თავის მონაგარს ერთი-ორი ტიტულით კიდევ გაამდიდრებს. ასეთი შესაძლებლობა მას სულ რამდენიმე დღეში საფრანგეთში, ევროპის ჩემპიონატზე ექნება, სადაც დიდებიც და პატარებიც ცალ-ცალკე გამოვლენ.

როცა საქართველოს ბატუტზე მხტომელთა ნაკრების უფროს მწვრთნელ ზაურ სულაშვილს ამ შეჯიბრებისთვის ჩვენი სპორტსმენების მზადების თაობაზე ვკითხეთ, გვითხრა, ახლა რა გვიჭირს, დათბა და დარბაზში ვარჯიშისას აღარ გვცივა, მომავალი ზამთრიდან კი სიცივე აღარ შეგვაშინებს, რადგან დარბაზში ახალი გასათბობი სისტემა დამონტაჟდაო.

სასიამოვნო იყო იმის შეტყობაც, რომ ლიუბა გოლოვინას ტრავმირებული ფეხი აღარ აწუხებს და საევროპო შეჯიბრებისთვის სრული დატვირთვით ვარჯიშობს. თუმცა, გოლოვინასთვის ფეხის ტკივილს დიდად არ შეუშლია ხელი ამას წინათ გამართულ საერთაშორისო ტურნირზე, სადაც ტრავმით გამოწვეული რვათვიანი უქმობის შემდეგ პირველად იასპარეზა და გაიმარჯვა კიდეც...

შეგახსენებთ, რომ იმ შეჯიბრებაზე, ბულგარულ გაბროვოში ლიუბამაც და მამამისმაც, როგორც მწვრთნელმა, „მაღალი ტექნიკისთვის" საგანგებო თასები დაიმსახურეს.

მაგრამ ერთია საერთაშორისო ტურნირი და მეორე ევროპის ჩემპიონატი, სადაც გოლოვინასი კვლავაც გვეიმედება.

ამ ჩემპიონატში, უფროსთა შეჯიბრებაზე, როგორც ზაურ სულაშვილმა გვითხრა, გამოვლენ თბილისელები სოფო გულიაშვილი, თენგიზ კოშკაძე და ბათუმელი ზურაბ ჭყონია. ჩვენი ვაჟებისთვის ეს ევროპის ჩემპიონატზე სადებიუტო გამოსვლა იქნება, აი, სოფო გულიაშვილი კი ამ მხრივ გამოცდილია და 2004 წელს ევროპის პირველობაზე ნინო ხოფერიასთან ერთად სინქრონულ ხტომებში მეხუთე იყო.

რაც შეეხება ჩვენს ახალგაზრდულ გუნდს, მის ღირსებას ლიუბა გოლოვინასთან ერთად დაიცავენ თბილისელები ნანა ლუჭაშვილი, თამარ კაკაშვილი და გიორგი მარქარიანი. კაკაშვილისა და მარქარიანისთვის ეს პირველი მსგავსი მასშტაბის შეჯიბრება იქნება, ლუჭაშვილი კი მით უფრო გამოცდილია. ის იუნიორთა შორის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალისტი გახლავთ.

**ავთანდილ ჭყვიშელი**

საქართველოს ჩემპიონატი
პლეი ოფი. ფინალი

# რამაზ-ლამაზ-შოუ

## აზოტმა ავიამშენს 0:2 ამოუშენა

18 მაისი. რუსთავი

ავიამშენი 2:2 აზოტი

**აზოტი 77:58 ავიამშენი**

*17:16 16:22 26:11 18:9*

**აზოტი:** ცეკვავა, ბოისა (13), ჭოჭუა (4), ტუჯანი (16), ბაბიაშვილი (18); ჟლენტი (16), გოგობერიშვილი (8), იმნაძე (2), ჯაფარიძე, არწივიძე, ჩაჩუა

**ავიამშენი:** ნიკოლაძე, წოწელია, მარკოიშვილი (4), ნინიაშვილი (20), მინაშვილი (7); დ. ბერიშვილი (12), ბ. ბერიშვილი (6), ხოშტარია (4), ორმოცაძე (3), როდუმტა (2)

**მსაჯები:** ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი, მაკა კუპატაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**ირაკლი პერტაია** *რუსთავიდან*

... „ავიამშენის" ფარქვეშ შეფრენილმა რუსთაველთა კერპმა რამაზ გოგობერიშვილმა ბურთი კალათში კი არ ესროლა, უკან მდგომ ჟოლივეტ ტუჯანის მოულოდნელად ფეხებშუიდან გადააწოდა და ისედაც ეგზალტირებული დარბაზი მთლად აფეთქდა...

გოგობერიშვილს ჰქონდა ფინტების კეთების უფლებაცა და განწყობაც. საფინალო სირენამდე წუთნახევარი რჩებოდა, „აზოტი" კი 15 ქულით ამარცხებდა თბილისის „ავიამშენს".

„ჩვენ ამჯერადაც ახალგაზრდებზე გავაკეთეთ აქცენტი და მთავარი კოზირი მაშინ გამოვიყენეთ, რომ მეტოქის მოთამაშენი გადაიღალნენ" — თქვა ნამატჩევს რუსთაველთა დამრიგებელმა ოთარ ხმელიძემ.

ვისზე ლაპარაკობდა „აზოტის" მწვრთნელი? რამაზ გოგობერიშვილზე, ყველაზე გამოცდილ და მრავლისმნახველ კალათბურთელზე იმათ შორის, ვინც გუშინ რუსთაველთა გუნდში თამაშობდა. გოგობერიშვილს არც გამორჩეულად ბევრი ქულა ჩაუგდია — მხოლოდ რვას მოუყარა თავი — და არც დიდი ხანი გაუტარებია მოედანზე, მაგრამ როცა საქმეში იყო, „აზოტი" რაღაც სხვა ჯიგრით უტევდა მეტოქეს და უმეტესად კუდით ქვას ასროლინებდა.

...ჰოდა, გოგობერიშვილმა ჯადო-ჰასი რომ გამოაცხო, მოედნიდან გავიდა, გამარჯვების ნიშნად მთელი „აზოტი" გადაკოცნა და რამდენიმე წამში მოედანზე შეცვენილი ჟურნალისტებისგან, ძმაკაცებისგან თუ უბრალო ფანებისგან ილებდა მილოცვებს.

ესეც ასე, „ავიამშენის" 2:0 ლიდერობიდან აღარაფერი დარჩა, „აზოტმა" მეორე რუსთავულ მატჩშიც დაჯაბნა ლევან მოსეშვილის გუნდი და ახლა ჩემპიონობა ერთ თამაშზე ჰკიდია — ხვალ ვერის ბაღში სუპერფინალია და ამბობენ, ისეთი ამბავი იქნება, დედა შვილს არ აიყვანსო.

დიდი ამბები გუშინაც იყო, ოღონდ „ქიმიკოსთა" დარბაზში. „აზოტმა" კარგად იცოდა ამ მატჩის ფასი და უფრო მოტივირებული იყო, ვიდრე მაშინ, როცა სერიას 0:2 აგებდა. ხმელიძის გუნდმა პირველ რუსთავულ მატჩში ისე დამაჯერებლად იმარჯვა, რომ „აზოტს" საბოლოო წარმატების იმედი ჩაუსახა და „ავიამშენთან" გუშინდელ ბრძოლას, რომ იტყვიან, მთელი სული და გული შეალია.



რამაზ გოგობერიშვილმა „ავიამშენს" ბურთი დაუმალა

„ავიამშენმა" მართლაც მოინდომა და დებიუტში ჯობნიდა კიდეც „აზოტს", მაგრამ რუსთაველი მოთამაშეების თუ დარბაზის ზეწოლას ველარ გაუძლო და მესამე მეოთხედიდან დაიჩაგრა.

მოსეშვილმა ბევრისთვის მოულოდნელი ხუთეულით დაიწყო თამაში. სასტარტოში დააყენა გოჩა წოწელია, გიორგი ნიკოლაძე და თორნიკე ნინიაშვილი, რომლებიც ძალიან ცოტას თამაშობდნენ ბოლო მატჩებში. ამის ბრალი იყო, თუ სხვა მიზეზით, „აზოტი" ცოტა დაიბნა და სადებიუტო წუთებში მეტოქეს ჩამორჩება.

მოსეშვილს კვლავ გაუმართლა ნინიაშვილმა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი ელასტიურობის წყალობით „აზოტის" ფარქვეშ მეტად კომფორტულად გრძნობდა თავს და ქულებსაც ბლომად იხვეჭდა.

რუსთაველებმა პირველი მეოთხედის მოგება ქულით, მაგრამ მაინც მოახერხეს, მეორეში კი დავთრები აერიათ. საკმაოდ ხისტ და დაცვით თამაშში კონტრშეტევები იშვიათობა იყო და გუნდები ძირითადად ტანმაღალი მოთამაშეების მარიფათით გადიოდნენ ფონს. ნინიაშვილთან ფარქვეშ ჭიდაობა რომ უჭირდა, ბაბიაშვილი პერიმეტრზე ადიოდა, მაგრამ ამით „აზოტი" თავიდან ვერ ხეირობდა. ნინიაშვილი სამწამიანში ბატონობდა და მისი დამსახურება იყო, „ავიამშენი" მოგებული რომ გავიდა დიდ შესვენებაზე — 36:33.

ძნელი სათქმელია, რა უთხრეს მწვრთნელებმა რუსთაველ მოთამაშეებს გასახდელში, მაგრამ მოედანზე დაბრუნებული „აზოტი" სულ სხვა, უფრო სწრაფი, მობილური და შედეგიანი გუნდი იყო. მეორე ტაიმის მეორე წუთზე ნინიაშვილმა მორიგი ორქულიანი მიითვალა და... მასპინძლებიც აფეთქდნენ.

„აზოტმა" ისეთი დაცვითი ჯებირი ააშენა, რომ მთელი 6 წუთის მანძილზე მისი გამრღვევი ავიამშენელთაგან ვერავინ მოინახა. მასპინძლებმა მოძრავი ზონა დააყენეს და საკუთარ საჯარიმოს მიახლოებულ მეტოქეს ფეხდაფეხ დასდევდნენ. „ავიამშენი" ან ბურთს კარგავდა, ან უზუსტოდ ესროდა, რასაც „აზოტი" ხუთიდან ოთხ შემთხვევაში სწრაფ კონტრშეტევას მოაყოლებდა, რასაც უმეტესად წარმატებით აგვირგვინებდა.

მესამე მეოთხედში თავი გამოიდო ჟოლივეტ ტუჯანიმ, რომელიც ისე იოლად შედიოდა თბილისელთა ფარქვეშ და ლაშქრავდა კიდეც კალათს, მეურვედ ცოცხალი მოთამაშეები კი არა, თითქოს ფიტულები ჰყავდა. აქედ ბაბიაშვილი კვებავდა შორეული სროლებით „აზოტს" და 13:0 მოგებული 6-წუთეულის შემდეგ ქვემოქართლელებმა ათქულიანი ლიდერობა მოიპოვეს.

მესამე მეოთხედიც ასეთი სხვაობით დასრულდა და დაიწყო გადამწყვეტი ათწუთეული, თუმც მოედანზე სცენარი არ შეცვლილა. მოსეშვილმა კი სცადა თამაშის ჩარხის შეტრიალება და მოედანზე უკანახაზელებით გაძეძგილი ხუთეული შეიყვანა, მაგრამ სიჩქარეაკრეფილი გოგობერიშვილსა და მისი სამმოს შემჩერებელი უკვე აღარავინ იყო...

# 2006 NBA Playoffs

# ამდენი სილამაზე აუტანელიც კია

## დალასმა სან ანტონიო დალასისგან იხსნა



ტიმ დანკანი ჯერი სტეკჰაუსს უფარებს

17 მაისი

**მეორე წრე**

**აღმოსავლეთი**

დეტროიტი 2:3 კლივლენდი

**დეტროიტი 84:86 კლივლენდი**

**დეტროიტი:** პრინსი (21), ბილაფსი (17), ჰამილტონი (15), მაკდაისი (11 ქულა, 11 მოხსნა), რ. ვოლესი (10), ბ. ვოლესი (8 ქულა, 13 მოხსნა)

**კლივლენდი:** ჯეიმსი (32), ილგაუსკასი (14 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება), მარშალი (14 ქულა, 13 მოხსნა)

მიხვდი, ახლა, ამათში რომელია მგელი და რომელი ცხვარი. დეტროიტელები კბილებს კი ალრჭიალებენ, მაგრამ ლებრონ ჯეიმსი და მისიანები ამათ კლანჭებში ჩავარდნილ უმწეო ცხვრებს ნამდვილ არ ჰგვანან. პირიქით, „კლივლენდმა" ექს-ვიცე-ჩემპიონთან იმხელა ეშვები გამოაჩინა, ალარავის გაუკვირდება, აღმოსავლეთის ფინალში თავად რომ გავიდეს და „დეტროიტი" ბოლო ოთხ წელიწადში პირველად დაიფრინოს პლეი ოფის ასე ადრეული ეტაპიდან.

ხოლო ლებრონბიჭუნა რომ ბიჭუნა აღარაა, ამის გასაგებად ვინმეს თქმა კი არა, მის საქმეთა ნახვაა საჭირო. კლივლენდური „კავალერიის" 21 წლის სპასპეტმა ამჯერად 32 ქულა უგმირა „მემანქანე" დეტროიტელებს. არადა, „კლივლენდის" მიერ მოგებული წინა ორის მსგავსად, ეს თამაშიც ჩახურული და ქულაძვირი გამოვიდა, სწორედ ისეთი, როგორსაც ძლიერი დაცვის მყოლი „დეტროიტი" წლების განმავლობაში ქადაგებდა და თავისი წარმატებებისთვის იყენებდა. ყველა მექანიზმი ცვდება და ვინ იცის, ავტოქალაქელთა მანქანასაც ჩაეშალა ნაწილები? პროგნოზირების მოყვარულები მაინც არ ჩამოწერენ „დეტროიტს" და კლივლენდში გამარჯვებას და სერიის მეშვიდე, გადამწყვეტ მატჩამდე მიყვანას წინასწარმეტყველებენ.

„იცით, რას გეტყვით? მეშვიდე მატჩზე სულ არ ვფიქრობთ. თუ ფრთხილად არ ვიქნებით, ეს მეშვიდე მატჩი არც იქნება" — „დეტროიტის" კაპიტანი და ასე ვთქვათ, საველე მეთაური ჩონსი ბილაფსი აქედანვე ყველას გასაგონად აფრთხილებს და მუხტავს თანაგუნდელებს.

თავად ბილაფსს ეს თამაში მაინცდამაინც არ წაუვიდა შეტევაში, რაკი ლა მწვრთნელმა ფლიპ სანდერსმა ჰამილტონს ანაც პრინსს კი არა, სწორედ მას დაავალა ლებრონის მეურვეობა. საიდან სადაო?! ბილაფსი გამთამაშებელია, აშკარად ფორვარდ ჯეიმსზე 12 სანტიმეტრით დაბალი და 20 კილოგრამით მსუბუქი. ჩონსიმ ლებრონი ვერ გააჩერა, პერსონალურების ლიმიტის ამოწურვის გამო ბოლო წუთებზე აღარც იყო მოედანზე. და ჯეიმსმაც მით უფრო გაილაღა. 84:84 ანგარიშზე მან ფარქვეშ ზუსტი პასით მოძებნა დრიუ გუდენი. ამ უკანასკნელს მანამდე მთელ მატჩში მხოლოდ 2 ქულა ეშოვნა, მაგრამ ხელი არ აჰკანკალებია, ჩააგდო და „კლივლენდი" კლუბის ისტორიაში მეორედ მიაყვანა აღმოსავლეთის ფინალს.

**დასავლეთი**

სან ანტონიო 2:3 დალასი

**სან ანტონიო 98:97 დალასი**

**სან ანტონიო:** დანკანი (36 ქულა, 12 მოხსნა), პარკერი (27), ჯინობილი (18), ფინლი (12)

**დალასი:** ნოვიცკი (31 ქულა, 10 მოხსნა), ჰოვარდი (16), ტერი (15), ჰარისი (15), სტეკჰაუსი (10)

ეს სერია თავისი დრამატიზმითა და დაძაბულობით ნებისმიერი ეპოქის ნებისმიერი გუნდების ფინალს გაუტოლდება. ორივე კლუბი თამაშიდან თამაშამდე უმატებს და ერთმანეთს ისეთ ბრძოლას სთავაზობს, გული დაგწყდება, ეს ყველაფერის საჩემპიონო დონეზე კი არა, სადღაც კონფერენციის ნახევარფინალში რომ ხდება. ერთი-ორი თამაში და ამ ორთაგან რომელიმე პლეი ოფს გამოეთხოვება. ეს ან ჩემპიონი „სან ანტონიო" იქნება, ან „დალასი". ნებისმიერ შემთხვევაში, ერთისთვისაც და მეორისთვისაც არ დაგენანებოდა საჩემპიონო ოქრო.

„სან ანტონიოს" ბავშვისთვალება და მკვლელის ინსტინქტიანი ლიდერი ტიმ დანკანი ლამის სასწაულებს სჩადის, ისევე, როგორც მისი დალასელ-გერმანელი ოპონენტი დირკ ნოვიცკი. ამ უკანასკნელმა სერიის მეხუთე მატჩში 31 ქულა მოიხვეჭა, 31-ვე ბრძოლაში და „სან ანტონიოსთან" ექვსმატჩიან ჯახში რეკორდი დაამყარა. იგივე მოიმოქმედა დანკანმაც — 36 ქულა მისთვის ამ პლეი ოფში უბევრესია. საზოგადოდაც, დანკანმა „დალასს" უკვე მეოთხედ ჩაუგდო 30 და მეტი ქულა, არადა, რეგულარული ჩემპიონატის 80 მატჩში მან სულ ორჯერ უწია 30-ქულიან თამასას. ასეთი უღიმღამო რეგულარული რომ ჰქონდა, იმიტომაც ვერ მოხვდა ნბა-ს პირველ სიმბოლურ ხუთეულში. მაგრამ სულ სხვაა პლეი ოფი, აქ დანკანი აღარ იცნობა. საცოდაობა არ იქნებოდა, ის და მისი გუნდი ასე ნაადრევად გავარდნილიყვნენ?! არ გავარდნენ. ჯიუტი და ბოლომდე მებრძოლი მეტოქის დახმარებით მათ კიდევ ერთი თამაში აჩუქეს კალათბურთს.

ზედიზედ სამი თამაშის წამგები „სან ანტონიო" ახლა განსაკუთრებით დამუხტული გავიდა მოედანზე. მასპინძლებმა თამაშში მთელი ცოდნა, შეძლება და ჯიგარი ჩადეს და მართალია მცირედ, მაგრამ მათი უპირატესობა მაინც მთელი თამაშის განმავლობაში იგრძნობოდა. ამ მატჩსაც, როგორც თითქმის ყველა წინას სულ ბოლო წამამდე მიჰყვა ინტრიგა და ლაზათი.

ყველაზე დიდი სხვაობა მესამე მეოთხედის დამთავრებამდე ორ წუთით ადრე დაფიქსირდა, როცა „სან ანტონიომ" ერთი მონაკვეთი 13:2 მოიგო. მაგრამ აქ „დალასის" თავკაცმა აივერი ჯონსონმა წუთშესვენება აიღო და მისმა შეგირდებმა დარჩენილ 2 წუთში 7 უპასუხო ქულა ჩააგდეს — 81:78 მასპინძელთა სასარგებლოდ. მეოთხე მეოთხედშიც ძირითადად „სან ანტონიო" ლიდერობდა, მაგრამ აი, ბოლოსწინა წუთზე ნოვიცკიმ ამ სერიაში თავისი პირველი სამიანი ჩააგდო და 95:95 გაათანაბრა.

ნერვების დამწყვეტი გამოვიდა ბოლო წამებიც — უკვე 98:97 ანგარიშზე სასროლად გამზადებულ ნოვიცკის მისმა მარადიულმა მდევარმა ბრიუს ბოუენმა ბურთზე ხელი უტაცა და მსაჯებს სადავო გდება დასტყუა. საფინალო სირენამდე ოთხიოდე წამით ადრე კი კიდევ ერთი სადავო გდების შემდეგ ბურთი ისევ დირკს მიუვიდა, მაგრამ სანამ გერმანელი თავის მკვლელ მარჯვენას შემართავდა, დროც ამოიწურა და სერიაც მეექვსე მატჩამდე მივიდა, რომელსაც პარასკევლამ დალასი მასპინძლობს.

**კოტე ყორშია**

# რეგულარული ხუთეულებით დაიხურა

126-მა ამერიკელმა და კანადელმა საკალათბურთო მიმომხილველ-კომენტატორმა 17 მაისს გამოავლინა ჩავლილი რეგულარული ჩემპიონატის სიმბოლური ხუთეულები და ლაურეატებისა და სიმბოლური გუნდების დასახელებაც ამით მორჩა.

9-წლიან კარიერაში პირველ გუნდში პირველად ვერ მოხვდა „სან ანტონიოს" 213-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ცენტრი ტიმ დანკანი, თუმც ეს არავის გაჰკვირვებია, რაკი ტიმს ძალზე უფერული რეგულარული სეზონი ჰქონდა. სამაგიეროდ, პირველ გუნდში ზედიზედ მეორედ შევიდა „დალასის" გერმანელი ფორვარდი დირკ ნოვიცკი.

პირველ ხუთეულში ზედიზედ მეშვიდედ, სულ კი მერვედ ჩაჯდა „მაიმისთვის" მოღვაწე შაკილ ონილი, თუმც ცოტა გაუჭირდა — კონკურენტ ბენ ვოლესისა და იაო მინისგან გვარიანი წინააღმდეგობა შეხვდა.

რაღა თქმა უნდა, პირველ ხუთეულშია — თან ზედიზედ მეორედ — „ფინიქსის" კანადელი გამთამაშებელი სტივ ნეში და ეს არცაა გასაკვირი — ის ხომ ზედიზედ მეორედ სახელდება სეზონის უძვირფასეს მოთამაშედ.

საშუალოდ 35,4 ქულის მკეთებელი კობი ბრაიანტიც პირველ ხუთეულშია (მეოთხედ), ისევე, როგორც წლეულს ნაღდ სუპერვარსკლავად ჩამოყალიბებული ლებრონ ჯეიმსი, ვისთვისაც ეს პირველი პირველი ხუთეულია, მაგრამ ნაღდად არა უკანასკნელი. და ერთიც, პირველში კი არა, მეორე და მესამე ხუთეულშიც ვერ მოეძებნა ადგილი კევინ გარნეტს. აი, ასე.

**მეორე ხუთეული**

ჩონსი ბილაფსი (დეტროიტი)
დუეინ ვეიდი (მაიამი)
ელტონ ბრენდი (კლიპერსი)
ტიმ დანკანი (სან ანტონიო)
ბენ ვოლესი (დეტროიტი)

**მესამე ხუთეული**

ალენ აივერსონი (ფილადელფია)
ჯილბერტ არენასი (ვაშინგტონი)
კარმელო ენტონი (დენვერი)
შონ მერიონი (ფინიქსი)
იაო მინი (ჰიუსტონი)

## პირველი ხუთეული

**სტივ ნეში**
18.8 ქულა, 4.2 მოხსნა, 10.5 პასი



**კობი ბრაიანტი**
35.4 ქულა, 5.3 მოხსნა, 4.5 პასი



**ლებრონ ჯეიმსი**
31.4 ქულა, 7.0 მოხსნა, 6.6 პასი



**დირკ ნოვიცკი**
26.6 ქულა, 9.0 მოხსნა, 2.8 პასი




**შაკილ ონილი**
20.0 ქულა, 9.2 მოხსნა, 1.9 პასი



## საჭადრაკო ოლიმპიადა 2006

20 მაისი — 4 ივნისი. ტურინი. იტალია

# ტოპალოვის სეკუნდანტმა ტოპათეულში უნდა შეგვიყვანოს

20 მაისიდან 4 ივნისის ჩათვლით ტურინი საჭადრაკო ოლიმპიადას უმასპინძლებს. შეჯიბრი ქალთა და ვაჟთა შორის ცალ-ცალკე გაიმართება და სულ 133 ქვეყნის ნაკრები ითამაშებს. ასპარეზობა შვეიცარიული სისტემით გაიმართება. დებულების მიხედვით, გუნდები 13-13 შეხვედრას ჩაატარებენ.

ვაჟთა შორის 134 ნაკრები გამოვა. აქედან მასპინძელ იტალიას ორი გუნდი ეყოლება. ოლიმპიადის ფავორიტი რუსეთის უძლიერესი გუნდია, რომლის შემადგენლობაშიც კლასიკური ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვლადიმირ კრამნიკი და პიტერ სვიდლერი ითამაშებენ. ასევე ანგარიშგასაწევი ძალაა ინდოეთის ნაკრები, რომელშიც პირველ დაფაზე ფიდეს რეიტინგის მეორე ნომერი ვიშვანათან ანანდი გამოვა. საქართველოს ნაკრები რეიტინგით მეთექვსმეტეა და ასეთი შემადგენლობა ეყოლება: *ბაადურ ჯობავა, ლევან ფანცულაია, გიორგი ყაჭეიშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, თამაზ გელაშვილი* და *დავით არუთინიანი*. მწვრთნელი და კაპიტანი *ლაშა ჯანჯღავა* იქნება.



ნაკრების ლიდერი ბაადურ ჯობავა ვესელინ ტოპალოვის სეკუნდანტია

ჩვენი ნაკრების შანსებზე *ლაშა ჯანჯღავა* გვესაუბრა.

— თანაბარი შემადგენლობაა, გუნდი სერიოზული მოჭადრაკეებით არის დაკომპლექტებული და შეკრული კოლექტივია. ორი წლის წინ მალიორკაში 21-ე ადგილზე გავედით. ახლა ჩვენი მიზანი ათეულში მოხვედრაა და თუ იღბალმაც გაგვიღიმა, შეიძლება უფრო მაღალ ადგილებსაც შევწვდეთ. სამწუხაროდ ტურინში არ გვეყოლება ორი წამყვანი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი და ზვიად იზორია. მათ თვითონ განაცხადეს უარი ნაკრებში თამაშზე. ოლიმპიადამდე გუნდმა ბორჯომში ერთკვირიანი შეკრება გაიარა და ტურინში მომზადებულები მივდივართ.

— გუნდის ლიდერი ბაადურ ჯობავა სოფიაში, მ-ტელ მასტერსის სუპერტურნირზეა და მსოფლიოს ჩემპიონ ტოპალოვს სეკუნდანტობს...

— დიახ, ჯობავა ტურინში პირდაპირ სოფიიდან შემოგვიერთდება. მ-ტელ მასტერსის ტურნირი დიდად გამოადგება ქართველ მოჭადრაკეს, იქ ბევრ ცნობილ დიდოსტატს შეხვდება და საკმაო გამოცდილებას შეიძენს.

მანდილოსნებშიც მთავარი ფავორიტი რუსეთია, მეორე კი უკრაინა. ქართველები აქ რეიტინგით მესამეზე არიან და ასეთი შემადგენლობით გამოვლენ: *ნანა ძაგნიძე, ნინო ხურციძე, ლელა ჯავახიშვილი* და *მაია ლომინეიშვილი*. მათი მწვრთნელი *ხვიჩა სუპატაშვილია*.

## M-tel მასტერსის ტურნირი

9-21 მაისი. სოფია. ბულგარეთი

VI ტური

გატა კამსკი (აშშ) 1:0 რუსლან პონომარიოვი (უკრაინა)

ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი) 0,5:0,5 ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)

ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი) 0:1 პეტრ სვიდლერი (რუსეთი)

# გაიტანს ბოლომდე გატა?



მსოფლიოს ჩემპიონატის ათი წლის წინანდელმა ფინალისტმა გატა კამსკიმ ფიდეს ვერსიით პლანეტის ექსჩემპიონ რუსლან პონომარიოვს თეთრი ფიგურებით მოუგო და ერთპიროვნული ლიდერობა დაიბრუნა. იანკთა დიდოსტატმა ნახევარი ქულით გადაუსწრო მთავარ მეტოქე ვიშვანათან ანანდს და ტურნირის მოგებაზე სერიოზული განაცხადი გააკეთა.

ამერიკელებს დიდად ახარებთ თანამემამულის გაბრწყინება, თანაც მალე საჭადრაკო ოლიმპიადა იწყება და კამსკიც იქ სათამაშოდ ემზადება.

პონომარიოვთან შეხვედრა კამსკიმ კლასიკური e4-ით დაიწყო, მეხუთე სვლაზე როქი ითამაშა და უკანა ფლანგის განვითარებას შეუდგა. მეტოქეები თავიდანვე იერიშებს მოერიდნენ, ჯერ წყობას მიხედეს და შეტაკებაც შემდეგ დაიწყეს. მე-15 სვლაზე შავებმა ცენტრში პაიკი გაუცვალეს თეთრებს და თამაშიც გაიხსნა. მოჭადრაკეებმა ლაზიერის ფლანგისკენ გადაიტანეს ყურადღება. შეტაკებებში ამერიკელმა იოლად სძლია უკრაინელს, ლაზიერ-ეტლით შავ ხელმწიფეს მიუხტა და 41-ე სვლაზე ალამი დააშვებინა.

სენსაციური მარცხი იწვნია ტურნირის შარშანდელმა მომგებმა ვესელინ ტოპალოვმა. პლანეტის უძლიერესმა მოჭადრაკემ რუსეთის მრავალგზის ჩემპიონ პეტრ სვიდლერთან თეთრი ფიგურებით 61-ე სვლაზე წააგო და მისთვის შეუფერებელ მეოთხე ადგილზე ჩამოცოცდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

| | | |
|---|---|---|
| 1. | გატა კამსკი | 4,5 ქულა |
| 2. | ვიშვანათან ანანდი | 4,0 |
| 3. | პეტრ სვიდლერი | 3,5 |
| 4. | ვესელინ ტოპალოვი | 2,5 |
| 5. | ეტიენ ბაკრო | 2,0 |
| 6. | რუსლან პონომარიოვი | 1,5 |

ჭიდაობა

# ევროპეპტიცია და ფიქრები მსოფლიოზე



დავით ხურციამ დაღესტანში ალექსი მოდებაძე იახლა

**ქართველი** მოჭიდავეები ხვალ-ზეგ თურქეთსა და დაღესტანში გავლენ ხალიჩაზე. მაჰაჩყალაში თავისუფალი სტილის მიმდევრები ალი ალიევის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე იასპარეზებენ, ანთალიაში კი ორივე სტილით მოჭიდავეთა ახალგაზრდული ტურნირები ჩატარდება.

ძირითადი ნაკრები დაღესტანში მთავარი მწვრთნელის, ზაზა თურმანიძისა და ევროპის ჩემპიონატმოვლილი შემადგენლობის გარეშე გაემგზავრა. დავით ხურციამ თან გოჩა კირკიტაძე (55 კგ), მალხაზ ზარქუა (60 კგ), შალვა მუზიაშვილი, ლევან ჩაბრაძე (ორივე 66 კგ), დავით ახალმოსულიშვილი (84 კგ), ალექსი მოდებაძე და დავით ოთიაშვილი (ორივე +120 კგ) იახლა.

ამ შვიდეულის მთავარი საფიქრალი ეროვნულში დაბრუნება და საშემოდგომო მსოფლიოს ჩემპიონატზე ჭიდაობაა. ახალი ნაკრების დასაკომპლექტებლად მთავარი მაინც 15-16 ივლისს თბილისში ჩასატარებელი ვახტანგ ბალავაძის სახელობის ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი იქნება, თუმც დაღესტნური მედლებიც სათანადოდ დაფასდება.

ახალგაზრდულ ნაკრებებს კი წინ ევროპის ჩემპიონატი (ბუდაპეშტი 4-9 ივლისი) ელით და თურქული ტურნირი ერთ-ერთი ბოლო რეპეტიციაა. ამასთან, საუნგრეთო შემადგენლობა მწვრთნელებს — ვლადიმერ ადეიშვილსა და ნუგზარ სხირელს ჯერ არ დაუსახელებიათ.

თურქეთში მყოფი თექვსმეტი ქართველიდან ყველაზე ტიტულოვანი თავისუფალი სტილით მოჭიდავე გიორგი ნიკურაძეა (+120 კგ). მან ახალგაზრდებში ევროპული ოქრო შარშან უკვე მოიგო და ახლა ჩემპიონობის შენარჩუნებისთვის იბრძოლებს. ასევე თავისუფალში მოჭიდავე მურთაზ კვესაძეს (55 კგ), გიორგი მაყიშვილსა (60 კგ) და ცოტნე ბარამიძეს (66 კგ) კი აქამდე მედლები ჭაბუკთა ევროპირველობაზე მოუნაგრიათ.

**ოთარ მაღლაკელიძე**

### ანთალიაში მყოფი ჩვენი ახალგაზრდული ნაკრებების სრული შემადგენლობანი

| ბერძნულ-რომაული | |
|---|---|
| 50 კგ | შონი კაცია |
| 55 კგ | ლაშა გოგიტიძე |
| 60 კგ | მინდია ოჯახიშვილი |
| 66 კგ | ილია გულბათაშვილი |
| 74 კგ | ზაზა შავაძე |
| 84 კგ | სერგო ნინუა |
| 96 კგ | გენადი ხელია |
| 120 კგ | მზეჭაბუკ ჯიქია |

| თავისუფალი | |
|---|---|
| 50 კგ | გივი დავიდოვი |
| 55 კგ | მურთაზ კვესაძე |
| 60 კგ | გიორგი მაყიშვილი |
| 66 კგ | ცოტნე ბარამიძე |
| 74 კგ | თორნიკე სვანიძე |
| 84 კგ | ბექა ჭელიძე |
| 96 კგ | დავით მოძმანაშვილი |
| 120 კგ | გიორგი ნიკურაძე |

სუმო



ქართველმა კოკაიმ (მარჯვნივ) ესტონელ ბალტის „უკვდავების წყალი“ აპკურა

# პატარა ტანკი შავ ზღვაში ჩაიძირა

**ერთი** გამარჯვებაც და დასავლეთის მეექვსე მაეგაშირა კოკაი, ანუ „შავი ზღვა“ ივლისის ბაშოზე წოდებას აიმაღლებს. რამდენი საფეხურით წაიწევს წინ, ეს მოგება-წაგებების ბალანსზე და სუმოს შეფების გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. მაისის ბაშოს დასრულებამდე კი სამი ტური რჩება და ქართველის ანგარიშზე შვიდი მოგება და ხუთი წაგებაა.

გუშინ ლევან ცაგურია „პატარა ტანკ“ ტაკიკაძეს დაუპირისპირდა და უპრობლემოდაც გადაისროლა მაყურებლებში. დღეს კი გაცილებით ძლიერ და გამოცდილ ტაკამისაკარის ხვდება. თუმც, სტატისტიკას თუ შევხედავთ, უპირატესობა ქართველის მხარესაა. აქამდე ეს ორი ერთმანეთის პირისპირ შვიდჯერ დამდგარა და ხუთჯერ კოკაის უმარჯვია.

ლიდერთა დუეტი კი არც გუშინ შეცვლილა. ახალგამომცხვარმა ოძეკიმ ხაკუხომ ვეტერან ექსკომუსუბი კიოკუსუძანს აჯობა, ხოლო სეკივაკე მიაბიამამ ოძეკი კოტოოშუს.

ზედიზედ მეორედ წააგო და დუეტს უკვე ორი ქულით ჩამორჩება ოძეკი ტიოტაიკაი. მასსა და ლიდერებს შორის კი კოკუგიკანური ბაშოს აღმოჩენა, ათქულიანი ესტონელი ბალტი დგას. იმპერატორის თასის მოპოვების შანსი ჩამოთვლილ სეკიტორთა გარდა რიგით მაეგაშირა ასასეკირიუსაც დარჩა. ბოლო დღეებში ფავორიტები ერთმანეთს დაეჭიდებიან.

**ოთარ მაღლაკელიძე**

## მსოფლიოს ჩემპიონატი 2006. რიგა




AFP რეიტერი

ყმაწვილი სიდნი კროსბი მსოფლიოს დაპყრობას აპირებს

# ჰანულას სამმაგით სამმა გვირგვინმა დუბლისკენ გაიწია

15 მაისი

**მეოთხედფინალი**

**შვედეთი 6:0 აშშ**

*2:0 2:0 2:0*

1:0 ჰანულა (3), 2:0 ჰანულა (16), 3:0 სამუელსონი (26), 4:0 კ. იუნსონი (36), 5:0 ჰანულა (49), 6:0 კარლსონი (59)

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა, შვედებმა, კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ ბოლო წლებში ყველაზე სტაბილური გუნდი ჰყავთ! მიუხედავად იმისა, რომ ახლანდელი შემადგენლობა ოლიმპიურთან ახლოსაც ვერ მივა, „ტრე კრუნორმა“ მაინც სძლია მეტოქეს. შვედებს 27 წლის მიკა ჰანულამ ულიდერა, რომელიც ოლიმპიადის გამარჯვებულიცაა. მართალია, ტურინში ჰანულა იშვიათად ხვდებოდა ძირითადში, მაგრამ სათადარიგოთა სკამიდანაც ბევრი რამ ისწავლა თავისი სახელოვანი პარტნიორებისაგან და ამჯერად სამი გოლით უდიდესი წვლილი შეიტანა გუნდის მოგებაში. „სულაც არ ვნერვიულობდი მატჩის შედეგზე. ახლა სეზონში ორი ოქროს მოპოვებისაგან მხოლოდ ორი მატჩი-ლა გვაშორებს“ — შვედების თავკაცმა ბენგტ-აკე გუსთაფსონმა თავს ტრაბახის უფლებაც კი მისცა.

**კანადა 4:1 სლოვაკეთი**

*0:1 1:0 3:0*

0:1 მილო (18), 1:1 კამალერი (35), 2:1 ბერჟერონი (53), 3:1 კროსბი (55), 4:1 კარტერი (55)

როგორც ჩანს, სლოვაკეთის ნაკრების „ოქროს ხანა“ ნელ-ნელა დასასრულს უახლოვდება. 2002 წელს ჩემპიონობის მოპოვების შემდეგ სლოვაკებმა უკან დაიხიეს და ახლა მეოთხედფინალს იქით გასვლაც კი უჭირთ. თუმც კანადელებს ევროპელებმა მაინც სერიოზული ბრძოლა გაუმართეს და მატჩის ბედი მხოლოდ ბოლო 7 წუთში გაირკვა. კვლავ გაიბრწყინა კანადელთა ახალგაზრდა, მაგრამ უკვე ჩამოყალიბებული „ვარსკვლავების“ — სიდნი კროსბის და პატრის ბერჟერონის დუეტმა. ნორჩებმა დაამტკიცეს, რომ მათ გადამწყვეტ მატჩებშიც შეუძლიათ გარდატეხის შეტანა. ჯერ იყო და ბერჟერონმა ჩინებულად შემოუარა კარს და მოუხერხებელი პოზიციიდან დაამწუხრა სლოვაკები, ხოლო მომდევნო ცვლაში ბერჟერონის კიდევ ერთი დარტყმის შემდეგ კროსბიმ დამატებაზე იხეირა. მთლიანობაში კანადელთა ლიდერები 13-13 ქულით ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაშიც ლიდერობენ, ოღონდ კროსბის ორით მეტი, ანუ შვიდი გოლი აქვს გატანილი. მესამე ადგილზე მყოფი ბელარუსი მიხაელ გრაბოვსკი მათ ოთხი ქულით ჩამორჩება.

გუშინ

**ჩეხეთი 4:3 რუსეთი**

**ფინეთი 3:0 ბელორუსი**

## ჰლეი ოფი 2006

# ნავთობის ფასი სტენლის თასმაც აწია

*გერი ბეტმენი კმაყოფილი უნდა იყოს. ლიგის კომისიონერმა ლოკაუტის შემდეგ ყველა დაპირება შეასრულა. ლიგამ სახე იცვალა და მერე როგორ! გამართლდა ბეტმენის ყველა ვარაუდი, თუნდაც ისეთი ძნელად განსახორციელებელი — ახალ ლიგაში ყველას თანაბარი შესაძლებლობა ექნებაო. ამის დასტურად ერთ ფაქტს მოვიყვანთ: 2006 წლის თასის ნახევარფინალში გასული ოთხივე გუნდი წინა სეზონში პლეი ოფშიც ვერ მოხვდა.*

17 მაისი

**მეორე წრე**

**დასავლეთი**

სან ხოსე 2:4 ედმონტონი

**ედმონტონი 2:0 სან ხოსე**

*1:0 0:0 1:0*

1:0 პეკა (0), 2:0 ჰორკოფი (52)

„ედმონტონის“ და დუეინ როულსონის შთამაგონებელი თამაშის წყალობით კანადურმა კლუბმა თავი დააღწია სან ხოსეში მეშვიდე მატჩზე გამგზავრებას. ოდესღაც სახელოვანი „ედმონტონი“ 14 წლის მოლოდინის შემთასის ნახევარფინალში გავიდა, თან სავსებით დამსახურებულად. სერიის გადამწყვეტი მატჩი ამ გუნდების ორთაბრძოლის ლოგიკური გაგრძელება გახდა: უფრო მაღალი კლასის ოსტატებით დაკომპლექტებულ მეტოქეს „ედმონტონმა“ უდიდესი ნებისყოფა და თავგამოდება დაუპირისპირა და თავისას მაინც მიაღწია. ჯერ იყო და მაიკ პეკამ შუა ზონაში მცველს აართვა შაიბა და ვესა ტოსკალასთან პირისპირ გასვლა გამოიყენა. ამის შემდეგ მასპინძელებს უამრავი მომენტი ჰქონდათ, მაგრამ ტოსკალამ კიდევ 5-6 აშკარა გოლისაგან იხსნა თავისიანები. თუმც სამართალმა მაინც იზეიმა და ასევე ბრძოლაში გატანილი გოლის შემდეგ შონ ჰორკოფმა განაჩენი გამოუტანა მეტოქეს. ამრიგად, დასავლეთის ფინალში ისტორიაში პირველი კალიფორნიული დერბი ვერ შედგა და „ანაჰაიმს“ ედმონტონელ „მენავთობეებთან“ ბრძოლა მოუწევს. თავის მხრივ, აღმოსავლეთის ფინალში ერთმანეთს „კაროლინა“ და „ბუფალო“ შეხვდებიან.

**სამველ ლარიბიანი**




AFP რეიტერი

ვესა ტოსკალამ გმირულად კი იბრძოლა, მაგრამ...



# საით მიფრინავს ნასტია

### მასტერსი კაცები. ჰამბურგი. გერმანია. თიხნარი. საპრიზო 2 450 000 $

**მეორე წრე**

**ხოსე აკასუსო** (არგენტინა) — ივან ლიუბიჩიჩი (3, ხორვატია) 6:2 6:0; **ხუან-კარლოს ფერერო** (ესპანეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 6:3 3:6 6:2; **დავიდ ფერერი** (16, ესპანეთი) — ფლავიო სერეტა (ბრაზილია) 6:1 7:6; **ტომი რობრედო** (8, ესპანეთი) — ფლორიან სერა (საფრანგეთი) 3:6 6:3 6:3; **მარიო ანჩიჩი** (12, ხორვატია) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) 3:6 6:4 6:0; **ჯეიმს ბლეიკი** (5, აშშ) — ენდი მიურეი (ბრიტანეთი) 6:3 6:3; **ფერნანდო გონსალესი** (7, ჩილე) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 6:7 6:1 6:3; **ფერნანდო ვერდასკო** (ესპანეთი) — ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) 6:4 6:3; **სებასტიან გროჟანი** (საფრანგეთი) — ფილიპო ვოლანდრი (იტალია) 7:5 7:6; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — გასტონ გაუდიო (6, არგენტინა) 6:4 3:6 6:4; **მაქს მირნი** (ბელორუსია) — ნიკლას კიფერი (9, გერმანია) 6:2 6:2; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — ხუან მონაკო (არგენტინა) 6:4 6:4

### ქალები რომი. იტალია თიხნარი საპრიზო 1 340 000 $ მეორე წრე

**ფლავია პენეტა** (15, იტალია) — კატალინა კასტანო (კოლუმბია) 6:3 6:3; **კატარინა სრებოტნიკი** (სლოვენია) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 3:6 6:3 6:2; **ელენა იანკოვიჩი** (სერბეთი) — მარია სანჩეს-ლორენცო (ესპანეთი) 6:3 4:6 6:2; **პატი შნიდერი** (6, შვეიცარია) — ვერა დუშევინა (რუსეთი) 7:6 6:2; **ანასტასია მისკინა** (10, რუსეთი) — რობერტა ვინჩი (იტალია) 6:0 1:6 6:4; **რომინა ოპრანდი** (იტალია) — სამანტა სტოსური (ავსტრალია) 6:2 6:2; **ელენა დემენტიევა** (5, რუსეთი) — შუაი პენგი (ჩინეთი) — (უარი); **ანა-ლენა გრონეფელდი** (11, გერმანია) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:4 6:3; **დინარა საფინა** (16, რუსეთი) — მარია ელენა კამერინი (ესპანეთი) 6:4 6:4; **კიმ კლაისტერსი** (2, ბელგია) — აკიკო მორიგამი (იაპონია) 4:6 6:1 6:3

**გერმანიაში** არჩასული ფედერერისა და ნადალის შემდეგ ჰამბურგის „მასტერსს“ მესამე-მეოთხე ნომრებმა ივან ლიუბიჩიჩმა და გასტონ გაუდიომაც დაუქნიეს ხელი.

თიხნარი ლიუბიჩიჩისთვის მოსახერხებელი საფარი არასოდეს ყოფილა — უბრალოდ, ნელი გრუნტი არ შეესაბამება ხორვატის ძლიერ მოწოდებასა და ბადესთან სწრაფად გასვლის ტაქტიკას. თუმც მაინც ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ხოსე აკასუსო ასე ადვილად გაუსწორდებოდა ხორვატს — არგენტინელმა მხოლოდ ორი გეიმი “უწყალობა“ ბალკანელს და ადრეული დასვენებაც გამოუწერა.

აი, გაუდიოს ნაადრევი გავარდნა კი ნამდვილად სენსაციად შეიძლება შეფასდეს. არგენტინელი ხომ თიხნარის ვიწრო სპეციალისტად ითვლება — ეს პატაგონიელი სწორედ სეზონის საგრუნტო ნაწილში იხვეჭს ხოლმე სარეიტინგო ქულების დიდ ნაწილს. წლეულს კი გაუდიო არც გრუნტზე უქნია ღმერთს და ასეთი თამაშით “როლან გაროსზეც“ საეჭვოა, რაიმე ღირებული აჩვენოს. ვფიქრობთ, გასტონს უკვე შეუძლია, ეს წელი პასივში ჩაიწეროს.

ადგილობრივ გულშემატკივართა გულდასაწყვეტად, მეორე წრეშივე დაემშვიდობნენ ჰამბურგის კორტებს რაინერ შუტლერი და ნიკლას კიფერი.

სამაგიეროდ, ძალიან კარგად გამოიყურება ჯეიმს ბლეიკი. ამერიკელს ბოლო დროს საკმაოდ ცუდი რამ დასჩემდა — კარგად თამაში მხოლოდ, ამერიკაში გამოსდის, თუმცა, ამჯერად ბლეიკი არცთუ ურიგოდ გამოიყურება ევროპაშიც და ნელ-ნელა უმატებს კიდეც. მისი მორიგი მსხვერპლი ბრიტანელთა პირველ ნომრად ქცეული ენდი მიურეი შეიქნა.

ჰამბურგისგან განსხვავებით, ფავორიტთა რიგები არ შეთხელებულა რომში, თუმც ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ მათი გზა იავარდით იყო მოფენილი.

ელენა დემენტიევას მაინც მაგრად უმართლებს — მესამე წრეში ისე გავიდა, რომ რომის კორტები ჯერ არც კი მოუსინჯავს.

სხვა განთესილებმა ფრიად იწვალეს. განსაკუთრებით ეს კიმ კლაისტერსს ეხება, რომელმაც აკიკო ნაკამურასთან საკმაოდ ინერვიულა. ბელგიელმა ცუდად დაიწყო და, ალბათ, თავისთვის მოულოდნელადაც, პირველი სეტი 4:6 წააგო. მხოლოდ ამის შემდეგღა გამოცოცხლდა კიმი — ჩანს, რომთან ასე ადრეულად გამოთხოვება არ უნდოდა, თავის დონეზე ათამაშდა და მომდევნო ორ სეტშიც მხოლოდ ოთხი გეიმი დათმო.

„დიდი ხანია, აქ არ მითამაშია და ამიტომ დამავიწყდა, რომ აქაური გრუნტი სხვებისგან განსხვავდება. ჰოდა, სანამ ისევ მივეჩვიე რომაულ მიწას, პირველი სეტი უკვე წაგებული მქონდა. კიდევ კარგი, მაინც შევძელი თამაშის გამოსწორება“ — თავს იმართლებდა არადამაჯერებელი თამაშის გამო კლაისტერსი.

კვლავ არასტაბილურია ანასტასია მისკინა. ორი წლის წინ “როლან გაროსის“ მომგები რუსი ვერაფრით ახერხებს მაღალ დონეზე თამაშს — ულამაზეს კომბინაციებს ბრიყვულ შეცდომებს უნაცვლებს ხოლმე. ახლაც მასპინძელ რობერტა ვინჩის პირველ სეტში უბრალოდ, გადაუარა, მეორე პარტიაში კი ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ კორტზე მისკინას მაგივრად ვიღაც უცნობი იდგა, რომელსაც ჩოგანი ცხოვრებაში პირველად ეჭირა. რუსმა, თავისდა საბედნიეროდ, გადამწყვეტ სეტში მოასწრო გონზე მოსვლა და შემდეგ წრეში კი გავიდა, მაგრამ ასეთი თამაშით შორს რომ ვერ გაფრინდება, ფაქტია.

**ბაჩა ლომაშვილი**

AFP პარიზიდან




AFP პარიზიდან




აქ ყველაფერი ნაღდი და ალალია. ბარსელონელს უხარია ის, რომ მადრიდში არ უხარიათ ბარსელონის გამარჯვება და რაკი „ბარსელონამ“ გაიმარჯვა, მადრიდში წუხან. სწორედ ეს წუხილი ახარებს ბარსელონელს.

ლონდონელები კი, ცხადია, დათვრნენ. ჯერ სიხარულით სვეს, მერე ბოღმით და ერთ გულმოკლულს ლამის „არსენალის“ ემბლემა შემოეჭამა. ის ვერ გაიგებს ბარსელონელი გოგოს სიხარულს.

სხვები კი მუშაობენ. ჩემპიონთა თასი ვერასდროს იქნება ობიექტივთან ასე ახლოს.

— ეეჰ, შვიდი წლის წინ... — უყვება ალექს ფერგიუსონი რაფაელ ბენიტესს.



AFP პარიზიდან




AFP პარიზიდან





AFP ლონდონიდან



სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: პაატა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge